



**ციხეხანი**

№ 138 / 27 მაისი - 2 ივნისი / 2013

მოსალოდნელია თუ არა თეოკრატია? **33. 06**

რელიგიური განათლება **33. 08**

უმუშევრობის სტატისტიკა შესასწორებელია! **33. 16**

ინტერვიუ ნაირა გელაშვილთან **33. 18**

საქართველოს ავღანური გამოწვევა **33. 32**

ჯარისკაცები ომის შემდეგ **33. 36**

„სამშობლო გვიხმობს!“ **33. 44**

ISSN 1987-7528



**ფასი 2 ლარი**



# სეხეხეხის ბაიბა

**33. 24**

# შეხვედრები

შეხვედრებითი საპროგრამო გადაცემა

სოციალური ფილმების სერია.  
ყოვანი პეტიტი 19:00

დავა  
დროულთან  
ერთად



მთავარი რედაქტორი  
შორენა შავერდაშვილი

აღმასრულებელი რედაქტორი  
ნინო ბექიშვილი

რედაქტორები  
ლიკა ზაკაშვილი  
ირაკლი აბსანძე

წარწერისტი:

ზურაბ ვარდიაშვილი, თათია ხალიანი,  
ანი ჭანკოტაძე, თინა ყიფშიძე, გიორგი  
გოგუა, გიორგი ჭეიშვილი, სოფო  
აფციაური, ეკა მაღალაძე, ლაშა  
ქავთარაძე, ქეთევან ღვებდაშვილი

კონტრიბუტორები:

ვასო კუჭუხიძე, შანს გუტორდი, ლელა  
რეხვიანიშვილი, არჩილ მეტრეველი,  
ნათია ბილიხოძე, დემის პოლანდოვი

რედაქცია:

ფოტო-რედაქტორი  
ლევან ხერხეულიძე  
გრაფიკული დიზაინი  
თორნიკე ლორთქიფანიძე  
რედაქტორ-სტილისტი  
ნინო ბექიშვილი  
კორექტორი  
ნათია ორმოცაძე

გამომცემლობა:

ლიბერალი  
შორენა შავერდაშვილი

ბიზნესის განვითარების მენეჯერი:  
რუსუდან ბარათაშვილი

პარტნიორებთან ურთიერთობის  
მენეჯერი:

ირმა მოსულიშვილი

დისტრიბუტორი:  
გაგი გელაშვილი

ჟურნალის გამომწერის მსურველები  
დაგვიკავშირდით:  
mziakublashvili@gmail.com



თბილისში ნიგნის ბაზრობა გაიხსნა. ჯერ არ ვყოფილვარ, სამუშაო დღეებში ვერ მოვი-  
ცალე და ხვალ, შაბათს ვაპირებ წასვლას. ის წიგნებიც ვიცი, რაც უნდა ვიყიდო – თუმცა  
სიურპრიზები აუცილებლად დამხვდება – ყოველ წელს ასე ხდება-ხოლმე. უკანასკნელი  
წლებია თბილისის გამომცემლობებს გამოცოცხლება დაეტყობ – ბევრი კარგი წიგნი  
გამოდის, ზოგი თარგმანი, ზოგიც – ორიგინალური. ის წლებიც მახსოვს, როცა ნიგნის  
ბაზრობაზე უმეტესობა რუსული წიგნები მიყიდა, ქართულები – მხოლოდ ჩემი შვილე-  
ბისთვის, რომლებიც მაშინ ჯერ კიდევ პატარები იყვნენ.

ჟურნალის ამ ნომერში წიგნებზე და ნიგნის ბაზრობაზე არაფერს ვწერ. თუმცა ვწერ  
განათლებზე – „ლიბერალის“ დებუტანტი ავტორი არჩილ მეტრეველი გვიყვება თუ  
რამხელა მნიშვნელობას ანიჭებს ევროპის საბჭო რელიგიის და რელიგიური შემწყნარე-  
ბლობის სკოლის ასაკიდან სწავლებას, ლიკა ზაკაშვილი სამოქალაქო განათლების შესახებ  
წერს და იმ მიზეზების გარკვევას ცდილობს, თუ რატომ მონანილებდნენ სკოლის  
მოსწავლეები სასულიერო პირების მიერ ორგანიზებულ აქციებში, ნაირა გელაშვილი კი  
ეკოლოგიური, გარემოსდაცვითი განათლების აუცილებლობაზე საუბრობს.

უკანასკნელმა მოვლენებმა ყველაზე ცხადად ერთი რამ დაგვანახა – ჩვენი საზოგა-  
დოების განათლების ძალიან დაბალი დონე. განათლება გვაკლია ყველას – სასულიერო  
პირებს, პოლიტიკოსებს, ჟურნალისტებს, მასწავლებლებს და სკოლის მოსწავლეებს.

ძალიან კარგი იქნება, თუკი ხელისუფალნი ჩვენი ქვეყნის ამ უმწვავეს პრობლემას  
დაინახავენ, შეაფასებენ და ამ მიმართულებით სერიოზულად დაიწყებენ მუშაობას და არა  
ისე, როგორც უკანასკნელი ოცნლეულის განმავლობაში ხდებოდა – მხოლოდ გარეგულ-  
მა, პოპულისტურმა საგანმანათლებლო პოლიტიკამ ის შედეგი მოიტანა, რაც დღეს გვაქვს  
– სასულიერო პირები მშვიდობიანი მოქალაქეების დარბევაში მონანილებენ, ზოგიერთი  
პოლიტიკოსი ამას ამართლებს და სხვა რაღაც ვთქვათ – ბოლო კვლევების მიხედვით სა-  
ქართველოს მოსახლეობის შემამოფოთებლად დიდი ნაწილი სტალინის მისტირის.

თუმცა პოლიტიკოსები რომ დაფიქრდნენ და გაინძრნენ, ჩვენ, მოქალაქეებმა უნდა  
მოვითხოვოთ. ამის გარეშე არაფერი გამოვა.

P.S. დღეს, 24 მაისს ჩემთვის ძალიან ძვირფასი ორი ადამიანის დაბადების დღეა –  
ამერიკელი პოეტისა და მომღერლის – ბობ დილანის და რუსი პოეტის, ინგლისურენოვანი  
ესეისტისა და ამერიკის მოქალაქის – იოსიფ ბროდსკის. ძალიან გამიხარდა, როცა სულ  
რამდენიმე წლის წინ გავიგე, რომ ერთ დღეს ყოფილან დაბადებულები. ამ ორმა ადამიან-  
მა გასულ საუკუნეში ორი უდიდესი კულტურის, ამერიკულისა და რუსულის მდინარება  
შეცვლა.

მადლობა ბობ! მადლობა იოსიფ!

ნინო ბექიშვილი, აღმასრულებელი რედაქტორი






## საინსუფიციენტის საყუხაღობო - უმუშევრობის სტატისტიკა შესასწოხები!


უმუშევრობის ოფიციალური სტატისტიკა სინამდვილისგან შორს დგას. ოფიციალური მონაცემებით, საქართველოში უმუშევრობა 15%-ია. 2011 წლის სტატისტიკა ასეთია, 2012 წლის მონაცემები კი ორშაბათს, 27 მაისს გამოქვეყნდება. აქამდე გამოქვეყნებული კვლევების უმეტესობა ცხადყოფს, რომ უმუშევრობა რეალურად 30%-ს აღწერს. ზოგიერთ კვლევაში თავადაც ვიყავი ჩართული, როდესაც კავკასიის კვლევითი რესურს-ცენტრის ეგიდით, გასულ წელს, არაერთი ასეთი გამოკითხვა ჩავატარეთ. სხვადასხვა კვლევამ ერთი და იგივე შედეგი აჩვენა, ამიტომაც ვარ დარწმუნებული, რომ უმუშევრობა საქართველოში 30%-ს აღწერს. იგივე დასკვნამდე მიდიან სხვადასხვა კვლევების ავტორებიც.


## სახემლის ბაიუ

„საპარლამენტო უმცირესობის ლიდერის, დავით ბაქრაძის თქმით, ნაციონალური მოძრაობა მუშაობის საგანგებო რეჟიმზე გადადის. პარტიისთვის რა პროცესის დასაწყისი შეიძლება აღმოჩნდეს „ხერხემლად“ წოდებული გენერალური მდივნის დაკავება? გია ნოდია შიშობს, რომ ამით ხელისუფლება „ნაციონალური მოძრაობის მარგინალიზაციის და დასუსტების პროცესის შეუქცევადობის უზრუნველყოფას ცდილობს“.

„ნაციონალურ მოძრაობას“ 21 მაისიდან ახალი ცხოვრების დაწყება მოუწევს, ახლა უკვე, მათივე შეფასებით, სახელმწიფოს ხერხემლად მიჩნეული ექსპრემიერისა და ყოფილი შსს მინისტრის, ვანო მერაბიშვილის გარეშე“.


 ზურაბ ვარდიაშვილი 03.24



 შანს გუტბორდი 03.16


## "თუ ადამიანი ბაიუმოსდასვანი ახ ახის, ის ნახანს ახათვის"

მთელ დასავლურ სამყაროშიც უკვე აქსიომაა, რომ თუ ადამიანი ეკოლოგი და გარემოსდამცველი არ არის, ის წარსულს ეკუთვნის და მომავალს ვერ ააშენებს. ის ვისაც კი ბუნების მიმართ მგრძობილობა აქვს, ღიაა სამყაროსთვის, მომავლისთვის. გამუდმებით ადამიანის უფლებებზე რომ ვსაუბრობთ, განა ადამიანის უპირველესი უფლება მისი სიცოცხლის უფლება არ არის? როგორ უნდა მოხდეს ამ უფლების რეალიზება სასიცოცხლო სივრცის განადგურების პირობებში?

 ეკა მალაღაძე 03.18

# ჯახისხასები ომის შედეგად


„სამხედროების ფსიქორეაბილიტაციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს და თავდაცვის სამინისტრო აქტიურად მუშაობს ამ მიმართულებით. სამინისტრო იზიარებს ჩვენი მოკავშირეების გამოცდილებას. ამ ეტაპზე ინტენსიურად მიმდინარეობს თანამშრომლობა ამერიკის შეერთებულ შტატებთან. პარტნიორები გვეხმარებიან არა მხოლოდ ფსიქორეაბილიტაციის მიმართულებით, არამედ ჩვენი სამხედრო მოსამსახურეების სრული რეაბილიტაციის პროცესშიც. ამ მიზნით, თბილისში სულ მალე რეაბილიტაციის ცენტრი შეიქმნება, რომელიც ქართველ ჯარისკაცებს ნატოს სტანდარტებით მოემსახურება.“

 გიორგი ჭეიშვილი  
83.36

## ხედავთ

# თბილისის მეოთხე საერთაშორისო ფოტოფესტივალი



 გიორგი გოგუა  
83.48

### ნომერი:



ფოტო: სოფო სოლომონიძე

- 04 **მოკლედ ორი აზრი**
- 06 მოსალოდნელია თუ არა თეოკრატია საქართველოში?  
**კომენტარი**
- 08 რელიგიური განათლება ქსენოფობიისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ
- 12 ვინც ითხოვს, იმას მიეცემა?
- 16 ხელისუფლების საყურადღებოდ – უმუშევრობის სტატისტიკა შესასწორებელია!  
**ინტერვიუ**
- 18 „თუ ადამიანი გარემოსდამცველი არ არის, ის წარსულს ეკუთვნის“  
**მთავარი თემა**
- 24 ხერხემლის გარეშე  
**პოლიტიკა**
- 30 „ერთგროშინი ოპერა“ – ქუთაისი მერის მოლოდინშია
- 32 საქართველოს ავღანური გამოწვევა  
**თავდაცვა**
- 36 ჯარისკაცები ომის შემდეგ  
**რეგიონი**
- 40 პასპორტი, როგორც საჯილდაო ქვა  
**საზოგადოება**
- 44 „სამშობლო გვიხმობს!“  
**კულტურა**
- 48 თბილისის მეოთხე საერთაშორისო ფოტოფესტივალი
- 52 **ციტატები**

**გამოცემელი:** შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი, ჭანტურიას ქ. 5. ტელ.: (995 32) 2933627 ელ-ფოსტა: info@liberali.ge ვებ-გვერდი: www.liberali.ge

**სხვა გამოცემები:** გაზეთი „ლიბერალი“ „ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია. ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.

**ბაჭყალი:** შპს „სეზანი“. მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 235 70 02. გამოდის კვირაში ერთხელ, ყოველ ორშაბათს. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი.

## ჩხ. ჯოხაა ჩინეთთან მოსადაპარაკებლად მზადაა



ჩინური მედია ავრცელებს ინფორმაციას, რომლის თანახმადაც ჩრ. კორეა მზად არის დიალოგისთვის „ყველა შესაძლო საკითხზე.“ განცხადებები ამის თაობაზე მას შემდეგ გაკეთდა, რაც ოფიციალური ფხენიანის წარმომადგენელი ვიცე-მარშალი ჩოე რაენ-ჰე ჩინეთს სპეციალური ვიზიტით ეწვია. ოფიციალური პეკინი დღემდე ჩრ. კორეის ყველაზე მსხვილ სავაჭრო პარტნიორად და უახლოეს თანამოაზრედ მიიჩნევა. თუმცა ურთიერთობები ორ ქვეყანას შორის მას შემდეგ გაცივდა, რაც ჩინეთმა ფხენიანისათვის გაეროს სანქციებს მხარი დაუჭირა. კორეის წარმომადგენელი უკვე შეხვდა ჩინეთის მუდმივმოქმედი პოლიტიკურის საბჭოს წევრ ლიუ იან-შანს. ადგილობრივი მედიის ცნობით, იან-შანმა დენუკლიარიზაციის აუცილებლობაზე ისაუბრა და ბირთვული უსაფრთხოების შესახებ ექსპერტიზის მოლაპარაკებების აუცილებლობას გაუსვა ხაზი. მიუხედავად საკმაოდ კარგი ურთიერთობებისა ორ ქვეყანას შორის, ჩინელმა პოლიტიკოსებმა ჩრ. კორეის მიერ მესამე ბირთვული გამოცდის ჩატარება საკუთარი ქვეყნის უსაფრთხოებისთვის ზედმეტად დიდ რისკად მიიჩნიეს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ კი ჩრ. კორეის მიმართ დამატებითი სანქციების მიღების შესახებ გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც ყოველწლიური სამხრეთ კორეულ-ამერიკული სამხედრო წვრთნების შემდეგ ფხენიანმა

B2 და B52 ბომბდამშენების გამოცდის შესახებ ოფიციალურად განაცხადა.

## FBI-ის აზრით დასავლეთისა და ჩრდილოეთის ამერიკის უსაფრთხოების საფრთხეა

გამოძიების ფედერალურმა ბიურომ ოფიციალურად დაადასტურა ინფორმაცია, რომ ბოსტონის ტრაგედიასთან დაკავშირებული დაკითხვისას FBI-ის ერთ-ერთმა აგენტმა ჩეჩენი მამაკაცი მოკლა. როგორც ფედერალური ბიუროს გავრცელებულ ინფორმაციაშია აღნიშნული, 27 წლის იბრაჰიმ ტადეშევი დაკითხვისას მაშინ შემოაკვდა, როდესაც ამ უკანასკნელმა აგრესიული ქმედებები დაიწყო. შემთხვევა ფლორიდის შტატში, ქალაქ ორლანდოში მოხდა, სადაც ტადეშევი უკანასკნელ პერიოდში ცხოვრობდა. 15 აპრილს ბოსტონში გამართული მართონის დროს მომხდარი ტერაქტისას 3 ადამიანი დაიღუპა, 265-მდე კი დაშავდა. ძმები, რომლებიც გამოძიების ვერსიის მიხედვით, ამ ტერაქტის მოწყობაში არიან ეჭვმიტანილები ასევე ეთნიკურად ჩეჩენები არიან. მათგან ერთ-ერთი 26 წლის ტამერლან ცარნაევი პოლიციასთან შეტაკებების დროს გარდაიცვალა. მეორე ძმა, 19 წლის ჯოხარ ცარნაევი კი აფეთქებიდან ოთხი დღის შემდეგ პოლიციამ მასაჩუსეტისის შტატ ქალაქ ვოთერ-თაუნში დააკავა.

## სირიის ოპოზიციური ჯონისონი საბაზოლოში მოლაპარაკებებს დაიწყო


სირიის ოპოზიციური კოალიციის წარმომადგენლები სტამბოლში მოლაპარაკებებს მართავენ. საერთაშორისო მედიასაშუალებები ავრცელებენ ინფორმაციას, რომ სწორედ ამ შეხვედრების დროს გადაწყდება მიიღებენ თუ არა ისინი მონაწილეობას მოლაპარაკებებში, რომელმაც სირიაში სამოქალაქო ომი უნდა დაასრულოს. ვაშინგტონსა და მოსკოვს სურდა, რომ

აღნიშნული მოლაპარაკებები მისის ბოლოს უნდა გამართულიყო. ოფიციალური მონაცემებით, სირიის კონფლიქტმა ამ დრომდე უკვე შეინარა 80 000-მდე ადამიანის სიცოცხლე. „უწინესო კონფერენციის გამართვა ჩვენთვის ბევრ სირთულესთან არის დაკავშირებული,“ – განაცხადა სირიის ნაციონალური კოალიციის წარმომადგენელმა ლოუაი საფიმ, – „ჩვენ მზად ვართ მივიღოთ მონაწილეობა ნებისმიერ მოლაპარაკებაში, თუკი ის დიქტატურის დასრულებისა და არჩევნების გზით ახალი მთავრობის არჩევისკენ იქნება მიმართული. თუმცა არ ვაპირებთ მივიღოთ მონაწილეობა რაიმე სახის შეხვედრაში, რომლის მიზანიც ასადის რეჟიმის დასასრული არ იქნება.“

## "ანგარიში ინტერნეტზე" მსოფლიოში ანგარიშის უფლებების მფლობელობის წინააღმდეგ

საერთაშორისო ორგანიზაცია „ანგარიში ინტერნეტზე“ მსოფლიოს 169 ქვეყანაში წამების, საპატიმროებში ცუდი მდგომარეობის, უფლებადაცვის აქტივისტების დევნის, ასევე სიტყვის თავისუფლების ჩახშობის შემთხვევებსა და ადამიანის უფლებების სხვადასხვა შემთხვევების შესახებ წლიური ანგარიში გამოაქვეყნა. ანგარიშში ფართოდაა მიმოხილული 2012-2013 წლებში ირანული დაპატიმრების ტალღები. ქვეყანაში დაპატიმრეს ადვოკატები, სტუდენტები, ჟურნალისტები, პოლიტიკური აქტივისტები და მათი ნათესავები, კინოს მუშაკები, ადამიანები, რომლებსაც კავშირი აქვთ უცხოეთთან, საზღვარგარეთის მედიასთან, მაგალითად, ბი-ბი-სის სპარსულენოვან სამსახურთან. ათეულობით მოქალაქე ანამეს და ციხეში ჩასვეს. მძიმე მდგომარეობა ავღანეთშიც, სადაც განსაკუთრებით ქალთა უფლე-





ბები ირლენდია. „ამნესტიმ“ ავლანეთში ქალთა მიმართ ძალადობის 4000 შემთხვევა შეიტყო, რაც, წინა წელთან შედარებით 28-პროცენტით უზრდაა. ორგანიზაცია რუსეთში ბოლოდროინდელ მოვლენებსაც ეხმაურება, როდესაც რუსეთის მთავრობა არასამთავრობო ორგანიზაციებს შემზღვეველ და დამაბრკოლებელ რეგულაციებს უწესებს. „რუსეთის ხელისუფლება, სამწუხაროდ, აგრძელებს სირიისთვის იარაღის მიწოდებას, ხოლო რუსეთი და ჩინეთი ეწინააღმდეგებიან გაეროს უშიშროების საბჭოში ისეთი რეზოლუციის მიღებას, რომელიც მსოფლიოს სირიის ხელისუფლებაზე მეტი ზეწოლის განხორციელების საშუალებას მისცემდა“. – ამბობს ნიდერლანდებში ორგანიზაციის წარმომადგენელი ედუარდ ნაზარსკი.

ანგარიშში შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვისა და დისკრიმინაციის კუთხით გააკრიტიკეს საქართველოც. ორგანიზაცია მიესალმება ხელისუფლების მშვიდობიანად და არჩევნების გზით შეცვლას, თუმცა პოლიტიკური ნიშნით ადამიანების დევნის შესახებ საუბრობს. გარდა ამისა, ორგანიზაცია წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური ნიშნით ადამიანების სამსახურიდან გათავისუფლების შე-

სახებ წერს. გამოხატვის თავისუფლების შესახებ საუბრისას „ამნესტის“ ქვეყანაში ჟურნალისტებზე ზეწოლისა და შეურაცხყოფის ფაქტების მოჰყავს. დისკრიმინაციას „ამნესტი ინტერნენელი“ თავის ანგარიშში უმცირესობებისა და ლგბტ თემის ადამიანების მხრივ გამოეხმაურა.


ორგანიზაციის ანგარიშში არ მოხვდა ციხეში წამებისა და არაადამიანური მოყროვის ფაქტები, რაც უფლებადაცემელებს გაკვირვებას იწვევს.

**სტოკჰოლმში მხატვარი ლაეა აჩაქიოვა ბიძილია**

სტოკჰოლმის ლარიბ უბნებში ახალგაზრდები რამდენიმე დღეა მანქანებს წვავენ. სტოკჰოლმის პოლიცია არეულობის ორგანიზატორს ეძებს. არეულობა პოლიციის მიერ 69 წლის მოხუცის მკვლელობას მოჰყვა.

სამშაბათ საღამოს დაახლოებით 30-მდე მანქანა დაინვა და სკოლები დაზიანდა სტოკჰოლმის ჩრდილო-დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, სადაც ძირითადად გაჭირვებული ადამიანები ცხოვრობენ. პოლიციამ 8 ახალგაზრდა დააკავა. პოლიციის წარმომადგენლები ამბობენ, რომ ეს ღამე უფრო მშვიდობიანი იყო წინა ღამესთან შედარებით. შვედეთში მეტ-ნაკლები სოციალური

თანასწორობის ფონზე არეულობა შეძლებულ უმრავლესობას და გაჭირვებულ უმცირესობას შორის მიმდინარეობს, რომელთა უმეტესობასაც ემიგრაციული წარსული აქვთ, არ აქვთ სათანადო განათლება, ვერ პოულობენ სამსახურს და თავს მარგინალიზებულად გრძნობენ.

პოლიცია მკაცრ კონტროლს იწყებს იმ ქუჩებში, სადაც არეულობა დაიწყო. „დღეები, კვირები და რამდენიც საჭირო იქნება გავაგრძელებთ პატრულირებას,“ – ამბობს პოლიციის წარმომადგენელი. კვლევა აჩვენებს, რომ 16-დან 29 წლის ყოველი მესამე ახალგაზრდა შვედეთის ყველაზე ლარიბ ადგილებში ცხოვრობს, არ სწავლობს და არ აქვს სამსახური. ლარიბებსა და მდიდრებს შორის განსხვავება შვედეთში უფრო და უფრო იზრდება, ვიდრე სხვა ქვეყნებში, ამასთან ერთად აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებელი იგივე რჩება. 



## ღიას

### ლაშა ბაქრაძე

ისტორიკოსი, გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმის დირექტორი

17 მაისს მართლმადიდებლურმა ეკლესიამ გააკეთა ხმამაღალი განაცხადი პოლიტიკურ ძალაუფლებაზე და დაუპირისპირდა სახელმწიფოს. ასობით სასულიერო პირმა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა სახელმწიფო, როგორც ძალის გამოყენების ერთადერთი ლეგიტიმური წყარო.

უფრო და უფრო ხშირად ისმის ეგრეთ წოდებულ პოლიტიკოსთა მხრიდანაც, რომ რელიგიური კანონები კონსტიტუციაზე უფრო მაღლა დგას. ამას გარდა, ეკლესიის, როგორც სტრუქტურის, სრულიად გაუმჭვირვალე და ხელშეუხებელ ინსტიტუციად ჩამოყალიბების მონმენი უკვე ნლების განმავლობაში ვართ.

ეკლესიის და სასულიერო პირთა მიმართ კრიტიკული დამოკიდებულება ზოგს დანაშაულადაც კი მიაჩნია. ეს ქართული სახელმწიფოებრიობისთვის საშიში ტენდენცია ყოველდღიურად უფრო თვალსაჩინო ხდება.

თეოკრატია არის სახელმწიფო ძალაუფლება, რომელიც მხოლოდ რელიგიით არის ლეგიტიმირებული – საეჭვოა, ასეთი ხელისუფლება საქართველოს მოქალაქეთა უმრავლესობის ინტერესებში იყოს. მიუხედავად ამისა, ანტიდემოკრატიული, ანტიდასავლური, პრორუსული ძალები ვითომდა ქართველი ერის ინტერესებისა და ტრადიციების დაცვის პრიმიტიული პროპაგანდით და ძალადობრივი მეთოდებით ცდილობენ ჩვენი ქვეყანა დემოკრატიული აღმშენებლობის გზას ჩამოაშორონ. 



## მოსალოდნელია თუ საქაჩოვანი

**■ ეკლესიის და სასულიერო პირთა მიმართ კრიტიკული დამოკიდებულება ზოგს დანაშაულადაც კი მიაჩნია. ეს ქართული სახელმწიფოებრიობისთვის საშიში ტენდენცია ყოველდღიურად უფრო თვალსაჩინო ხდება.**





**არა**

**იაგო კაჭკაჭიშვილი**  
*სოციოლოგი, თსუ პროფესორი*

თეოკრატიის საფრთხე არსებითად არ არსებობს. რასაკვირველია, საზოგადოებაში არიან ჯგუფები, რომლებიც თეოკრატიის მომხრე იქნებიან, მაგრამ ისინი უმცირესობაში არიან. შესაძლოა ერთი შეხედვით მოგეჩვენოთ, რომ ეს განცხადება წინააღმდეგობაში მოდის გამოკითხვების შედეგებთან. ვგულისხმობ პატრიარქის რეიტინგს. ასევე იმას, რომ საქართველოს ზრდასრული მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა საკუთარ თავს მართლმადიდებლად მიიჩნევს, მაგრამ ამან შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს. მართლმადიდებლობასთან იდენტიფიკაცია არ ნიშნავს ეკლესიურობასთან ან თუნდაც რელიგიურობასთან იდენტიფიკაციას. ჩვენს შემთხვევაში მართლმადიდებლობა ნაციონალურ იდენტობასთან არის გადაჯაჭვული. მართლმადიდებლობასთან იდენტიფიკაციას სიმბოლური დატვირთვა აქვს და არა პირდაპირი.

საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობა სეკულარულ სახელმწიფოში ცხოვრების მომხრეა. ისინი აღიარებენ და პატივს სცემენ ეკლესიას, როგორც ინსტიტუტს და ა.შ. მაგრამ არ ფიქრობენ რომ სახელმწიფო უნდა მოეწყოს რელიგიური წესების შესაბამისად. ასე რომ, ამ კუთხით საფრთხე არ არსებობს.

17 მაისის ინციდენტის შემდეგ ორი სასულიერო პირიც დააკავეს. თეოკრატიულ ქვეყანაში სასულიერო პირების დაკავება მყისიერად გამოიწვევდა რელიგიური ექსტრემიზმის კიდევ უფრო გამძვინვარებას, მაგრამ ჩვენთან ასე არ მომხდარა – ეს ფაქტია. პატრიარქი საჯაროდ გამოვიდა და თვითონ დაგმო მომხდარი ძალადობა. როცა პატრიარქი თვითონ ლაპარაკობს დემოკრატიულ ღირებულებებზე, ლაპარაკობს სახელმწიფოსა და ეკლესიის გამიჯვნის საჭიროებაზე, ეს ძალიან მნიშვნელოვანია. პატრიარქი კი აბსოლუტურად არ ამუღავნებს მისწრაფებას თეოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბებისკენ.

თუმცა ცხადია, ამ კუთხით საზოგადოების, განსაკუთრებით მისი აქტიური ნაწილის – არასამთავრობო სექტორის აქტიურობა მისასაღმებელია, რადგან საზოგადოებასთან საკომუნიკაციო სივრცეში ეს საკითხიც აუცილებლად უნდა ჩაერთოს. ამიტომ ამ მიმართულებით დისკუსიები სასურველია. **■**

# ახა თეოხახაია ლოში?

**■ საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობა სეკულარულ სახელმწიფოში ცხოვრების მომხრეა. ისინი აღიარებენ და პატივს სცემენ ეკლესიას, როგორც ინსტიტუტს და ა.შ. მაგრამ არ ფიქრობენ რომ სახელმწიფო უნდა მოეწყოს რელიგიური წესების შესაბამისად. ასე რომ ამ კუთხით, საფრთხე არ არსებობს.**

# ხაიბიუხი ბანათიება ქანოფობიისა და შანყნახაბლობის წინააღმდეგ

(ბამოხმანუხაბა სახანხო დახვანის 2012 წლის ანბახიშუა)

## არჩილ მეტრეველი

საქართველოს სახალხო დამცველის 2012 წლის ანგარიშის გამოქვეყნებამ ერთხელ კიდევ შეახსენა ქართულ საზოგადოებას, რომ ქვეყანაში ჯერ კიდევ არსებობს რელიგიური შეუწყნარებლობა, როგორც სოციალური განწყობა, რომელიც ხშირად კონკრეტულ დაპირისპირებებში ვლინდება. ანგარიშის მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში რელიგიური ნიშნით ძალადობამ წინა წლებთან შედარებით იკლო, ქსენოფობიური დამოკიდებულება და რელიგიური შეუწყნარებლობა კვლავ მნიშვნელოვან პრობლემად რჩება. მისი მოგვარების საშუალებად, სახალხო დამცველის ოფისი სამართალდამცავი ორგანოების გააქტიურებას ასახელებს. შესაბამისად, აქცენტის გადატანა ხდება სახელმწიფოს მხრიდან ძალისმიერი ინსტრუმენტების გაძლიერებაზე, ხოლო განათლების როლი მთლიანად უგულებელყოფილია. ანგარიშის იმ ნაწილშიც კი, სადაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმართ გარკვეული რეკომენდაციებია განსაზღვრული, რელიგიური განათლება ნახსენები საერთოდ არ არის.

ამ გამომხაურების მიზანია შეუწყნარებლობის, დისკრიმინაციისა და ქსენოფობიის წინააღმდეგ ბრძოლაში რელიგიური განათლების როლის წინ წამოწევა და საკითხის ასე დასმა: რა უფრო პირველადი, რელევანტური და ეფექტურია რელიგიისა და რწმენის თავისუფლების დაცვისას - ამ უფლების დარღვევის მკაცრი კრიმინალიზაცია და სანქცირება, თუ მისი, როგორც ფასეულობის გაცნობიერებისა და აღიარების ხელშეწყობა? სისხლის სამართლებრივი თუ საგანმანათლებლო მიდგომა? ცხადია, ეს მსჯელობა არ უნდა იქნას ისე გაგებული, თითქოს ერთი ამ ორთაგანი გამოირიცხავს მეორეს. ის, რაც ამ დილემაში მოცემულ ორ მიდგომასთან მიმართებით უნდა დადგინდეს,

პირველადობა და ეფექტურობა, ანუ რომელია უფრო შედეგიანი და, შესაბამისად, უფრო მნიშვნელოვანი მექანიზმი რელიგიისა და რწმენის თავისუფლების დამკვიდრებისთვის.

ანგარიშში რელიგიური ურთიერთობებისა და უფლებების განხორციელების მხრივ ქვეყანაში არსებული პრობლემები 2012 წელს სოფ. ნიგეზიანსა და სოფ. წინწყაროში მომხდარი ინციდენტების აღწერითა და მათი შეფასებითაა წარმოდგენილი. თავად ანგარიშის ტონი და აქცენტები ძირითადი პრობლემების მოგვარებაში სახელმწიფოს მონაწილეობის წილისა და ფორმის კრიტიკისკენაა მიმართული, დაპირისპირების საფუძვლებსა და არსზე მსჯელობას კი გვერდს უვლის. ტექსტში მრავლადაა შემდეგი შინაარსის ფრაზები: „სამართალდამცველების მხრიდან ადეკვატური რეაგირება არ მოჰყოლია“; „[სამართალდამცველებმა] ვერ უზრუნველყვეს მლოცველთათვის გადასაადგილებლად დერეფნის გაკეთება და აღნიშნული ფაქტების ადგილზე აღკვეთა“; „სამართალდამცველებისა და ხელისუფლების წარმომადგენლების არაადეკვატური რეაგირება“ და ა.შ.

სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა, განსხვავებული რელიგიური მრწამსის მქონე ჯგუფებს შორის დაპირისპირებისა და ძალადობის, როგორც სოციალური მოვლენის აღმომფხვრისთვის საკმარისი საშუალება არ არის და მხოლოდ შეკავების ეფექტი აქვს, ამაში ადვილად დავრწმუნდებით, თუკი საქართველოში რელიგიური ურთიერთობების ისტორიას დავაკვირდებით. ე.წ. „გლდანის ეპარქიის“ მიმართ გატარებული სისხლის სამართლებრივი ღონისძიებები, სიმკაცრისა და პრინციპული მიდგომების მიუხედავად, ძნელად თუ შეფასდება, როგორც დაპირისპირებულ რელიგიური ჯგუფებს შორის მშვიდობიანი

თანაცხოვრებისთვის ხელშეწყობა. არ უნდა უარ-  
ვყოთ, რომ ე.წ. „გლდანის ეპარქიის“ სასულიერო  
და საერო პირების მიმართ გატარებულმა სადა-  
მსჯელო ღონისძიებებმა რეალურად აღმოფხვრა  
ამ რელიგიური ჯგუფის მხრიდან ძალადობა, რო-  
გორც პრაქტიკა, მაგრამ ისიც უნდა ვაღიაროთ,  
რომ ამით შეუწყნარებლობა არ შემცირებულა.  
შესაბამისად, მიღწეული შედეგი არ შეიძლება შე-  
ფასდეს, როგორც სასურველი, რადგან ლიბერა-  
ლური დემოკრატიის საზოგადოების მიზანს უნდა  
წარმოადგენდეს რელიგიურ ჯგუფებს შორის ტო-  
ლერანტული და სოლიდარული დამოკიდებულე-  
ბის დამკვიდრება და არა დროებითი, სასჯელის  
შიშზე დამყარებული თავშეკავება, რომელიც შე-  
საძლებლობის მოლოდინში მყოფი, არა თუ იცლე-  
ბა ძალადობისა და დაპირისპირების სულსკვე-  
თებისგან, არამედ „ბრძოლისთვის“ მზადყოფნის  
პასიურ მდგომარეობაშია გადასული.

ამგვარად, რელიგიური შეუწყნარებლობისა და  
ქსენოფობიის გააზრება, როგორც მხოლოდ კრი-  
მინალისა და არა როგორც  
რთული სოციალური მოვლე-  
ნისა, რომელიც მთელ რიგ  
მენტალურ და შემეცნებით  
შრეებს მოიცავს, მართე-  
ბული ვერ იქნება, რადგან  
ნებისმიერი დანაშაული ყო-  
ველთვის არის გარეგნული  
შედეგი, რაღაც უფრო მნიშ-  
ვნელოვანი შინაგანი არსისა.  
შესაბამისად, სახელმწიფო  
ადეკვატური უნდა იყოს რე-  
ლიგიური ნიშნით ჩადენი-  
ლი სამართალდარღვევების  
მიმართ, რაც თავისთავად  
გულისხმობს ადეკვატურო-  
ბას სამართალდამრღვევთა  
პასუხისმგებლობის ნაწილ-  
შიც, მაგრამ პრობლემები  
რელიგიურ ურთიერთობებში  
არ უნდა იქნას დაყვანილი  
მხოლოდ დანაშაულამდე და  
სასჯელამდე.

ხოლო რაც შეეხება, სა-  
ხელმწიფოს რეალურ პო-  
ზიტიურ ვალდებულებებს  
რელიგიის თავისუფლების



ფოტო: ბორიზ ბოლსუა

დამკვიდრების უზრუნველყოფაში, ერთ-ერთი  
ასეთი ვალდებულება, უდავოდ არის განსხვავე-  
ბულ რელიგიურ ჯგუფებს შორის ურთიერთგაგე-  
ბის, ტოლერანტობისა და მეგობრული დამოკიდე-  
ბულების დამყარება და განვითარება. ამ მიზნის  
მიღწევის საშუალებას კი, უპირველეს ყოვლისა,  
განათლება წარმოადგენს.

განათლებას მრავალფეროვან საზოგადოებაში  
ურთიერთალიარებაზე დაფუძნებული მშვიდობი-  
ანი თანაცხოვრების გარანტიად აცხადებს გაეროს  
კონვენცია განათლების სფეროში დისკრიმინა-  
ციის წინააღმდეგ (Convention against Discrimina-  
tion in Education 1960/1962):

„განათლების მიზანი იქნება ადამიანის პი-  
როვნების სრულად განვითარება და ადამიანის  
უფლებების და ფუნდამენტური თავისუფლებების  
პატივისცემის გაძლიერება; ის ხელს შეუწყობს  
ურთიერთგაგებას, ტოლერანტობას და მეგობრო-  
ბას ერებს შორის, ასევე რასობრივ ან რელიგიურ  
ჯგუფებს შორის...“ (მე-5 მუხლი 1-ლი ნაწილი).

რელიგიური განათლება  
ქსენოფობიისა და რელიგიურ  
შეუწყნარებლობის წინა-  
აღმდეგ საბრძოლველ ქმედით  
და აუცილებელ საშუალებად  
აღიარებულია ევროპის საბჭოს  
1720-ე რეკომენდაციით - გა-  
ნათლება და რელიგია (Edu-  
cation and Religion. 2005). ამ  
რეკომენდაციით ევროპის სა-  
ბჭო ადგენს რელიგიური განა-  
თლების მნიშვნელობას სტერე-  
ოტიპების, რელიგიათა შორის  
ურთიერთგაუგებრობის, ფანა-  
ტიზმის აღმოფხვრისა და ტო-  
ლერანტული შეგნების ჩამოყა-  
ლიბებაში, ამასთან, მკაფიოდ  
უსვამს ხაზს რელიგიური განა-  
თლების აუცილებლობას დე-  
მოკრატიული მოქალაქეობის  
განხორციელებაში:

„რელიგიების ზოგადი ცოდ-  
ნა და ტოლერანტული შეგნე-  
ბა, როგორც ამის შედეგი, აუ-  
ცილებელია დემოკრატიული  
მოქალაქეობის განსახორციე-  
ლებლად.“ (1-ლი პარაგრაფი);



„განათლებას არსებითი მნიშვნელობა აქვს უცოდინრობის, სტერეოტიპებისა და რელიგიათა შორის ურთიერთგაუგებრობის წინააღმდეგ საბრძოლველად.“ (მე-6 პარაგრაფი);

„ბავშვებისთვის მთავარ რელიგიათა ისტორიისა და ფილოსოფიის შეზღუდული და ობიექტური და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ღირებულებათა პატივისცემით სწავლება, ეფექტური იქნება ფანატიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად“. (მე-7 პარაგრაფი).

შესაბამისად, თანმიმდევრული და სისტემური რელიგიური განათლება ჯანსაღი ურთიერთობების რაგვარობის, ლიბერალური დემოკრატიის საზოგადოებაში მათი არსებობის აუცილებლობისა და მათი დამყარების გზების ცოდნის წყაროა. რელიგიისა და რწმენის ფენომენში გარკვევა შედეგად იძლევა არა მხოლოდ ტოლერანტული და სოლიდარული ურთიერთობების დამყარების შესაძლებლობას, არამედ ამგვარი ურთიერთობების ერთადერთობაშიც არწმუნებს მხარეებს. აქედან გამომდინარე, განათლებული ადამიანი მხოლოდ ურთიერთობის უნარს კი არ ფლობს, არამედ ამ ურთიერთობის აუცილებლობასაც განიცდის.

უშუალოდ ეროვნული საგანმანათლებლო პოლიტიკის შემუშავებისას ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, რომ ევროპაში თანადროულად არსებობს რელიგიური განათლების ფორმების მთელი სპექტრი, მინიმალური ზოგადი განათლებიდან დაწყებული, ვინრო კონფესიური განათლებით დამთავრებული და ეს მთლიანად შესაბამისობაშია ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან. ამდენად, ამ სფეროში არ არსებობს საყოველთაო და უნივერსალური სისტემა, რომელიც ადეკვატური იქნებოდა ყველა ევროპული სახელმწიფოსთვის. ამის საწინააღმდეგოდ დაცულია მრავალფეროვნება და ინდივიდუალურობა, როგორც საერთოევროპული ღირებულება.

ჩვენს შემთხვევაში უმნიშვნელოვანესი ფაქტორი არის ის, რომ წლები, რომელიც ევროპამ ადამიანის

ნის უფლებებისა და თავისუფლებების გაცნობიერებასა და ცხოვრებაში დამკვიდრებას მოანდომა, საქართველომ, სხვა სახელმწიფოებთან ერთად, საბჭოთა იმპერიის მკაცრი რეჟიმის ქვეშ გაატარა. შესაბამისად, ევროპა, ჩვენგან განსხვავებით, ამ ღირებულებებს არა მარტო იზიარებს, არამედ არსობრივად იაზრებს კიდევ. ეს იყო პროცესი, რომელიც საქართველოს გარეშე შედგა და შედეგი, რომლის წინაშეც საქართველო ერთბაშად აღმოჩნდა. შედეგის გაანალიზება კი იმ სუბიექტისთვის, რომელსაც პროცესში მონაწილეობა არ მიუღია, თავისთავად მოითხოვს გარკვეულ დროს, რომლის ათვლაც საქართველოსთან მიმართებით სულ მცირე 90-იანი წლებიდან უნდა დაიწყოს. ეს დაახლოებით ნახევარსაუკუნოვანი ჩამორჩენაა, რომლის სათანადოდ გაანალიზება და დაძლევის გზების შემუშავება აუცილებელია.

გამომდინარე აქედან, საქართველოს საჯარო სკოლებში აუცილებელია არსებობდეს სათანადო რელიგიური განათლება; ეს განათლება უნდა იყოს სავალდებულო, სათანადო ხანგრძლივობის და მოიცავდეს რელიგიების ისტორიულ, კულტუროლოგიურ და ფილოსოფიურ ასპექტებს; განსაკუთრებული ყურადღება და დრო უნდა დაეთმოს იმ რელიგიებს, რომელიც აქტიურადაა წარმოდგენილი საქართველოში; ამასთან, რელიგიათმცოდნეობის კურსი აუცილებლად უნდა მოიცავდეს ადამიანის რელიგიური

უფლებების აპოლოგიას, რელიგიისა და რწმენის თავისუფლების ფენომენის გაცნობიერებას და ა.შ.

საბოლოოდ, კიდევ ერთხელ უნდა ითქვას, რომ საზოგადოებაში რელიგიური თანხმობის დასამკვიდრებლად, რელიგიური განათლება გაცილებით უფრო ქმედითი და, ამასთან, აუცილებელი ინსტრუმენტია, ვიდრე მხოლოდ შეუწყნარებლობასა და ქსენოფობიაში ბრალდებული პირებისა და ჯგუფების მკაცრი დასჯა. მათგან პირველი გრძლევადიან, შემწყნარებლურ და სოლიდარულ ურთიერთობებს ამკვიდრებს, მეორე კი – მხოლოდ მოკლევადიანი შეკავების ეფექტს იძლევა. **■**

**■ საზოგადოებაში რელიგიური თანხმობის დასამკვიდრებლად, რელიგიური განათლება გაცილებით უფრო ქმედითი და, ამასთან, აუცილებელი ინსტრუმენტია, ვიდრე მხოლოდ შეუწყნარებლობასა და ქსენოფობიაში ბრალდებული პირებისა და ჯგუფების მკაცრი დასჯა. მათგან პირველი გრძლევადიან, შემწყნარებლურ და სოლიდარულ ურთიერთობებს ამკვიდრებს, მეორე კი – მხოლოდ მოკლევადიანი შეკავების ეფექტს იძლევა.**

Dubai  
Dusseldorf  
Tehran  
Kiev  
Brussels

Dubai	Tehran	Kiev	Brussels	Dusseldorf
348 Gel	241 Gel	330 Gel	261 Gel	310 Gel

New Airbus aircraft



We are rewarding you With an exclusive \*3% cash back when purchasing a FlyGeorgia Economy or Business class flight online with your MasterCard Travel Card to any destination. Take advantage of our lowest fares offer and you can save even more by shopping securely online!

Log on to [flygeorgia.com](http://flygeorgia.com) and apply for your Free FlyGeorgia Travel Card and start saving.

To book a flight, please contact our Call Center at 271 0000

  
**FlyGeorgia**  
The world awaits you



# ვინს ითხოვს, იმას მიეცემა?

სოციალური პირობები მხოლოდ მაშინ გაუმჯობესდება, როცა მსგავსი ინტერესებით დაკავშირებული მოქალაქეები, მასწავლებლები თუ ექიმები, მუშები თუ გარემოვაჭრეები, მოახერხებენ კოლექტიური მოთხოვნების იდენტიფიცირებას, კოლექტიური ინსტიტუტების გამყარებას და მთავრობაზე ზენოლის განხორციელებას.

## ლელა რეხვიაშვილი

კოალიცია „ქართული ოცნების“ გამარჯვების შემდეგ ძალიან ბევრი ადამიანი სოციალური პირობების გაუმჯობესებას მოელოდა. ამ ეტაპზე ცხადია, რომ მედიაში ხშირად ისევ პერიფერიული და პოპულისტური თემები დომინირებს, სოციალური დაცულობა/დაუცველობის, უმუშევრობის საკითხები კი მედიისა და პოლიტიკოსების ნაკლებ ყურადღებას იმსახურებს. ნელი ძვრები საკმარისი არ არის. ცხადია ორი რამ – ამ მიმართულებით პროგრესი არ გვექნება, სანამ არ მოვითხოვთ და არ ჩავერთვებით პოლიტიკის შემუშავების და განხორციელების პროცესში, და მეორე – საქართველოს დამოუკიდებლობის ისტორიაში არ ყოფილა იმაზე უკეთესი გარემო სამოქალაქო საზოგადოების აქტივობისთვის ვიდრე დღეს არის.

## ვინც ითხოვს, იმას მიეცემა?

სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობა კვლავ უდიდესი პრობლემაა მსოფლიო მასშტაბით, თუმცა ამავე მსოფლიომ უკვე იხილა საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური უფლებების დამცველი ქვეყნების მაგალითებიც. ყველაზე თვალნათელი მაგალითი დასავლეთ ევროპული კეთილდღეობის სახელმწიფოა, თუმცა არც ერთი „კეთილდღეობის სახელმწიფო“ მმართველთა კეთილი ნების წყალობით არ აშენებულა. სოციალური დაცვის უზრუნველყოფა უმეტეს შემთხვევაში მუშათა კლასის ხანგრძლივი ბრძოლის შედეგი იყო. სოციალ-დემოკრატიული სახელმწიფო პანაცეა არ არის; თავად „ადამიანური კაპიტალიზმიც“ ზოგჯერ არაადამიანური და უთანასწოროა, თუმცა კაპიტალიზმის სხვა ფორმებთან შედარებით გაცილებით უკეთ ახერხებს კეთილდღეობის უზრუნველყოფას.

სოციალურ-ეკონომიკური პირობების შექმნის თვალსაზრისით ასევე არსებობს მეორე მოდელი – სოციალისტური სახელმწიფო. სამწუხაროდ, სოციალისტური სახელმწიფოს ის ფორმები, რაც უკვე გამოვცადეთ სახარბიელო არ ყოფილა და უმეტეს შემთხვევაში პოლიტიკური უფლებების დათრგუნვის ხარჯზე იყო აგებული. საბჭოთა კავშირის, სოციალისტური იუგოსლავიის თუ კომუნისტური აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ლეგიტიმურობა სწორედ სოციალურ დაცულობაზე იყო დამყარებული. ეს ყბადაღებული სოციალური პირობები კი დიდი ვერა-





ფერი აღმოჩნდა, განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის შემთხვევაში, მხოლოდ შიმშილის და ტერორის ათწლეულების შემდეგ დადგა ფარდობითი კეთილდღეობა. 60-70-იანებში, როცა შედარებით გაიზარდა სოციალური დაცულობა და შენედა ტერორი, ასევე ცხადი გახდა საბჭოთა ეკონომიკის სისუსტეები. მოკლედ რომ ვთქვათ, სანამ უკეთეს სოციალისტურ სახელმწიფოს არ გამოვიგონებთ, უკვე არსებული მაგალითების გამოყენება არ გამოგვაადგება.

დასავლური კეთილდღეობის სახელმწიფო ქვემოდან მომავალი საზოგადოებრივი დაკვეთაა, დემოკრატია კი ამ დაკვეთის აღსრულების იარაღია. თავისთავად დემოკრატიაც საზოგადოებრივი დაკვეთაა და ევროპული ქვეყნების მმართველებმა თავის დროზე მოსახლეობისთვის პოლიტიკური უფლებების გაფართოება რევოლუციის შიშით და პროტესტების ზენოლის ქვეშ განახორციელეს. ამის საპირისპიროდ კომუნისტური კეთილდღეობაა – იქ, სადაც პოლიტიკური უფლებები ითრგუნება, ხალხს სოციალური პირობები მაინც უნდა მიეცეს იმიტომ რომ ტერორის და ძალადობის მეშვეობით მოსახლეობის უკმაყოფილების ჩახშობა ძვირი ჯდება და მუდმივად ვერ შენარჩუნდება.

იმ ქვეყნებში, სადაც არც დასავლური და არც კომუნისტური კეთილდღეობა არ არსებობს, არსებობს კორუფცია – „რასაც ნებით არ მაძლევენ ძალით ნავართმევ“ მიხედვით. მთელი პოსტ-საბჭოთა სივრცე, მათ შორის შევარდნაძისდროინდელი საქართველო, სწორედ კორუფციული კეთილდღეობის, ან კორუფციული რედისტრიბუციის მაგალითია. ამ შემთხვევებში საზოგადოება აცნობიერებს, რომ მთავრობას არც სურვილი აქვს და არც შესაძლებლობა სოციალური პირობების გაუმჯობესებისთვის. შესაბამისად საზოგადოება იმეორებს მთავრობის მაგალითს – იპარავს იმას, რაც შეუძლია. ასეთი სისტემის მთავარი მანკიერება ისაა, რომ ძალაუფლების მპყრობელები ყოველთვის უკეთ ახერხებენ მოპარვას, ვიდრე სხვა დანარჩენი, და უთანასწორობა და სიღარიბეც ნარჩუნდება. სამაგიეროდ, კორუფციული კეთილდღეობა მგონი

უკეთესია, ვიდრე ნაკლებად კორუფციული ანტიკეთილდღეობის სახელმწიფო – ანუ პოსტ-რევოლუციური საქართველო.

ნაცმოძრაობის/სააკაშვილის მთავრობის პერიოდში ჩვენთან საინტერესო რამ მოხდა – კორუფციული კეთილდღეობა შეიკვცა, მაგრამ მის ჩასანაცვლებლად სახელმწიფო კეთილდღეობა არ შექმნილა; არაფორმალური რედისტრიბუცია აიკრძალა, ხოლო ფორმალური რედისტრიბუცია კომუნიზმად გამოცხადდა. 2003 წლის შემდეგ სახელმწიფომ ეკონომიკური ურთიერთობების ფორმალიზაციას მიაღწია და ის, რაც ადრე „გზაზე იკარგებოდა“ რევოლუციის შემდეგ ბიუჯეტს ავსებდა.

ეს, რა თქმა უნდა, კარგი პროცესი იქნებოდა, ამას რომ სახელმწიფო ხარჯების განუკითხავი ფლანგვა არ მოყოლოდა. ანუ ის, რაც მანამდე გზაზე იკარგებოდა, მერე ბიუჯეტიდან დაიკარგა; ის, რასაც ყველა იპარავდა, მხოლოდ ნაცმოძრაობის ვინრო ელიტურმა წრემ გაინანილა. თუმცა ყველაფერი არ მოპარულა. ყველა სახელმწიფო, ავტორიტარული და ტოტალიტარული სახელმწიფოებიც კი ცდილობენ ლეგიტიმურობის შენარჩუნებას. ნაციონალურმა მოძრაობამ აირჩია გზა, რომელიც მოკლევადიან მიზნებზე იყო გათვლილი და დროთა განმავლობაში უსუსური აღმოჩნდა – ფასადები, სანახაობა, შიში და რეპრესია. ნაცმოძრაობას ლეგიტიმურობის მენიუდან „პური“ გამოორჩა და მოსახლეობა რომ „პურის წართმევით“ გამონვეული აღშფოთებისგან „დაეცვა“, ბიუჯეტის გადაუნანილებელი სახსრები რეპრესიის მანქანის აწყობას მოახმარა.

კორუფციული კეთილდღეობა ცუდი კეთილდღეობაა, მაგრამ ნაცმოძრაობის ანტიკეთილდღეობა კიდევ უფრო მძიმე აღმოჩნდა. მსოფლიო ბანკის უკანასკნელი მონაცემების მიხედვით საქართველოზე ღარიბი ქვეყანა რეგიონის მასშტაბით არ მოიძებნება. ევროპაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ჩვენი პოსტსაბჭოელი მეზობლები (თურქმენეთის გამოკლებით), მცირე აზიელი მეზობლები, ყველა ჩვენ ირგვლივ უფრო ნაკლებად ღარიბია, ვიდრე ქართული საზოგადოება. მხოლოდ სუბსაჰარული აფრიკა, ჰონდურასი, და აზიის რამდენიმე ქვეყა-

**■ ნაციონალურმა მოძრაობამ აირჩია გზა, რომელიც მოკლევადიან მიზნებზე იყო გათვლილი და დროთა განმავლობაში უსუსური აღმოჩნდა – ფასადები, სანახაობა, შიში და რეპრესია.**

ნა „შეგვედრება“. (მსოფლიო ბანკის მონაცემები <http://data.worldbank.org/topic/poverty>).

ჩვენ, როგორც საზოგადოებამ, უნდა ავირჩიოთ კეთილდღეობის რა მოდელი გვინდა. ზოგჯერ მეჩვენება, რომ ზედმეტად შეჩვეულები ვართ საბჭოთა მოდელს, სადაც ჩვენ, როგორც საზოგადოებას, არავინ გვისმენდა და კეთილდღეობა „ზემოდან“ მოდიოდა ჩვენს დასაშოშმინებლად. ბრძოლის და ორგანიზების გარეშე მიღებული კეთილდღეობა ალბათ დღესაც ყველაზე სასურველია ქართველი მოსახლეობის უმეტესობისთვის. თუმცა ისიც უნდა გავაცნობიეროთ, რომ ამ მოდელის აღდგენა არც კარგია და, რაც მთავარია – არც შესაძლებელი. მეორე არჩევანი ალბათ ისევ კორუფციული კეთილდღეობა იქნებოდა. ინდივიდუალური ქურდობა უფრო ადვილია, ვიდრე კოლექტიურად სოციალური უფლებების მოთხოვნა. იმედი მაქვს ამ უკანასკნელს არც ავირჩევთ და არც ახლანდელი ხელისუფლება დაგვანებებს მის არჩევას. ბიუროკრატიული კორუფცია უკვე შემცირებულია, გადასახადები მეტ-ნაკლებად გროვდება. ამ ეტაპზე ჩვენი გადასახადების კოლექტიური განკარგვა უნდა ვისწავლოთ.

თუ არც კომუნისტური და არც კორუფციული კეთილდღეობა არ გვსურს, მაშინ ისიც უნდა გავაცნობიეროთ, რომ სახელმწიფო „თავისი ნებით“ რედისტრიბუციას არ დაიწყებს. ამიტომაც აუცილებელია სამოქალაქო საზოგადოების რადიკალური გააქტიურება, სოციალური უფლებების მოთხოვნა და სოციალურ-ეკონომიური პოლიტიკის დაგეგმვა/განხორციელებაში საზოგადოებრივი ჯგუფების ჩართვა. სამოქალაქო საზოგადოება კი არასამთავრობოებით არ შემოიფარგლება, საჭიროა ფართო საზოგადოებრივი ჩართულობა.

ოქტომბრის არჩევნების მერე უკვე შეინიშნება სხვადასხვა სოციალური ჯგუფის აქტიურობა. თუმცა მნიშვნელოვანია, რომ პოლიტიკური ინტრიგების გარკვევაში არ დავიკარგოთ და დავიბნეთ. დღეს სტუდენტები უკვე აქტიურობენ, სოციალური უფლებების და შრომის უფლებების წინ წამოწევენ ცდილობენ, თუმცა თუ სხვა ჯგუფე-

ბიც არ გააქტიურდებიან, შეიძლება სტუდენტებმა ვერ მოახერხონ არსებული ვითარების ძირეული შეცვლა. სოციალური პირობები მხოლოდ მაშინ გაუმჯობესდება, როცა მსგავსი ინტერესებით დაკავშირებული მოქალაქეები, მასწავლებლები თუ ექიმები, მუშები თუ გარემოვაჭრეები, მოახერხებენ კოლექტიური მოთხოვნების იდენტიფიცირებას, კოლექტიური ინსტიტუტების გამყარებას (პროფკავშირები) და მთავრობაზე ზეწოლის განხორციელებას.

**■ სოციალური პირობები მხოლოდ მაშინ გაუმჯობესდება, როცა მსგავსი ინტერესებით დაკავშირებული მოქალაქეები, მასწავლებლები თუ ექიმები, მუშები თუ გარემოვაჭრეები, მოახერხებენ კოლექტიური მოთხოვნების იდენტიფიცირებას, კოლექტიური ინსტიტუტების გამყარებას (პროფკავშირები) და მთავრობაზე ზეწოლის განხორციელებას.**

**რატომ დღეს?**

სადავო საკითხია, მაგრამ მაინც მგონია, რომ დღეს უფრო უკეთესი პირობებია სამოქალაქო აქტიურობისთვის, ვიდრე ოდესმე ყოფილა ჩვენი ოცნლიანი დამოუკიდებლობის პერიოდში. 90-იანი წლების დასაწყისი ომებსა და კონფლიქტებში გავლიეთ. შემდეგ შევარდნაძის მთავრობა ისეთი სუსტი იყო, რომც მოგვეთხოვა სოციალური პირობები აზრი არ ჰქონდა – მთავრობა საკუთარ თავსაც კი ვერ აკონტროლებდა. სააკაშვილის გაძლიერებულ მთავრობას შეეძლო სოციალური დაცვის გაძლიერება, მაგრამ მოთხოვნის წამოყენების პირობები ჩაუხშო მოსახლეობას და რეპრესიებისთვის გამოიყენა ძლიერება.

ამჟამად ისე ჩანს, რომ კვლავ შედარებით შემძლე, მაგრამ ნაკლებად რეპრესიული მთავრობა გვყავს. როგორც ზემოთაც აღვნიშნე, ეს მთავრობა ვერ და დააკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნებს, სანამ თავადვე არ მოვითხოვთ.

გასული ოცი წლის აურზაურმა აპათია და სამოქალაქო საზოგადოების დასუსტება გამოიწვია. თუმცა ეს გადაულახავი დაბრკოლება არ არის. სამოქალაქო საზოგადოების აქტიურობა უკვე გაზრდილია, სოციალურ პრობლემებზე დღეს უფრო ხშირად ვსაუბრობთ, ვიდრე ოდესმე. დღეს ყველაზე კარგი შანსი გვაქვს ვაკუუმის შევსების, სოლიდარობის გამოხატვის, კოლექტიური აქტივობისთვის, და იმედს ვიტოვებ, რომ ამ შესაძლებლობის დროულად გამოყენებას მოავახერხებთ. **■**



მინდა ვხატო



მინდა ვიარო



მინდა ვიცეკვო



მინდა დავინახო



მინდა ვირბინო

## მივცეთ ბავშვებს მომავალი!

### გახდი იუვენალური ართრიტის სახე!

„მინდა ვიარო, მინდა ვირბინო, მინდა ვხატო...“ – პატარებმა ამ დღეს სურვილები აისრულეს!

შაბათს კუს ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე იუვენალური ართრიტით დაავადებული ბავშვებისთვის სპეციალური მხარდაჭერი აქცია მოეწყო. რადგან მაისი საზოგადოებაში ართრიტის ცნობადობის ამაღლების თვედ არის გამოცხადებული და აღნიშნული აქტივობა სწორედ ამ მოვლენას მიძღვნა.

აქციის ინიციატორი იყო „იუვენალური ართრიტით დაავადებულ ბავშვთა მშობლების კავშირი“, რომელიც უკვე ორი წელია დაავადებული ბავშვების ჯანმრთელობაზე ზრუნავს. ღონისძიების მხარდამჭერები იყვნენ პედიატრ-რევმატოლოგთა ასოციაცია და გენეტიკური და იშვიათი დაავადებების ფონდი, აქციას ასევე ესწრებოდნენ დარგის სპეციალისტები, ჟურნალისტები, ცნობადი სახეები და მოწვეული სხვა სტუმრები, რომლებმაც პატარებს თანადგომა გამოუცხადეს.

ღონისძიება რამდენიმე ნაწილისგან შედგებოდა: პირველ ეტაპზე იუვენალური ართრიტით დაავადებულ ბავშვებთან ერთად მოწვეულმა სტუმრებმა კუს ტბას სიმბოლურად ფეხით შემოუარეს, შემდეგ კი სტადიონზე პატარებთან ერთად კლასობანა, რეზინობანა, წრეში ბურთი, ორდროშობანა ითამაშეს. დასასრულს მოწვეულ სტუმრებთან ერთად სამახსოვრო ფოტოები გადაიღეს და სურვილებით სავსე საჰაერო ბუშტები ცაში გაუშვეს!

ამ დღეს იუვენალური ართრიტით დაავადებულმა ბავშვებმა სურვილები აისრულეს: დახატეს, ირბინეს, იცეკვეს თანატოლებთან და მათთვის საყვარელ ცნობილ ადამიანებთან ერთად.

ღონისძიების მიზანი იყო დაავადების შესახებ საზოგადოების ინფორმირება და სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერის მოპოვება, რაც დაავადებულ პატარებს დაეხმარება ყოველდღიურ ცხოვრებაში მეტი დამოუკიდებლობის მოპოვებაში.

დღესდღეობით, რევმატოლოგია მედიცინის ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად განვითარებადი დარგია. მსგავსი პროგრესი არ ყოფილა უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში. თუმცა დაავადების სტატისტიკური მონაცემები საკმაოდ საგანგაშოა. იუვენალური ართრიტი 6 თვიდან 16 წლამდე ასაკის ბავშვებში ვითარდება, სამწუხაროდ, კონკრეტული გამომწვევი მიზეზი უცნობია. იუვენალური ართრიტით ყოველი 100 000 ბავშვიდან დაახლოებით 100 ავადდება, ბავშვების დიდ ნაწილს უვითარდება ქრონიკული პერსისტული ართრიტი, აღენიშნება მნიშვნელოვანი შრომისუნარობა და ინვალიდობა. პაციენტთა ნახევარზე მეტი, განსაკუთრებით მძიმე ფორმებისას, 5-10 წლის განმავლობაში III-IV ჯგუფის ინვალიდი ხდება.



# საინსუფინსის საყუხადლოდ - უმუშევრობის სტატისტიკა შესასწოხებელი!

პოლიტიკით დაინტერესებული ადამიანების ყურადღებას საქართველოში ბევრი მწვავე საკითხი იპყრობს. ზოგიერთი მათგანი საკმაოდ ემოციურია და საზოგადოებაში კონსესუსის არსებობას არ მოითხოვს. თუმცა არის გამონკვევა, რომლის შესახებაც კონსესუსი უნდა შედგეს და რომელიც ქართველი ხალხისთვის უმნიშვნელოვანესია. ეს არის უმუშევრობა, უფრო კონკრეტულად კი უმუშევრობასთან დაკავშირებული სტატისტიკის საკითხი. CRRC-ის მიერ NDI-ისთვის ჩატარებული უკანასკნელი კვლევა ცხადყოფს, რომ დაუსაქმებლობა ქართველებისათვის ყველაზე მწვავე პრობლემაა.

## ჰანს გუტბორდი

უმუშევრობის ოფიციალური სტატისტიკა სინამდვილისგან შორს დგას. ოფიციალური მონაცემებით, უმუშევრობა 15%-ია. 2011 წლის სტატისტიკა ასეთია, 2012 წლის მონაცემები კი ორშაბათს, 27 მაისს გამოქვეყნდება. აქამდე გამოქვეყნებული კვლევების უმეტესობა ცხადყოფს, რომ უმუშევრობა რეალურად 30%-ს აჭარბებს. ზოგიერთ კვლევაში თავადაც ვიყავი ჩართული, როდესაც კავკასიის კვლევითი რესურს-ცენტრის ეგიდით გასულ წელს არაერთი ასეთი გამოკითხვა ჩავატარეთ. სხვადასხვა კვლევამ ერთი და იგივე შედეგი აჩვენა, ამიტომაც ვარ დარწმუნებული, რომ უმუშევრობა საქართველოში 30%-ს აჭარბებს. იგივე დასკვნამდე მიდიან სხვადასხვა კვლევების ავტორებიც.

მაგალითისთვის, საზოგადოებრივი აზრისა და მარკეტინგული კვლევის ასოციაცია “გორბის” მიერ მსოფლიო ღირებულებების კვლევამ, რომელიც მაღალი საერთაშორისო სტანდარტების

მიხედვით ჩატარდა და დეტალური ანალიზის საშუალებას იძლევა, დაადასტურა, რომ 2008 წელს, უმუშევრობის დონე საქართველოში 30%-მდე იყო, ანუ ორჯერ უფრო მაღალი, ვიდრე ოფიციალური მონაცემებით. (უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს სეზონური ცვლილებები – ზამთართან შედარებით, ზაფხულში მშენებლობებსა და ტურიზმის სფეროში უფრო მეტი ადამიანი დასაქმებული.)

უმუშევრობის საკითხი, რომელიც უამრავ ქართულ ოჯახზე ახდენს გავლენას, პირველ რიგში, ზუსტი და საიმედო მონაცემების ქონას მოითხოვს. აღნიშნული საკითხის მონესრიგება კი მთავრობისთვის მით უფრო გართულდება, რაც უფრო დიდხანს იქნება ძალაუფლების სათავეში. ეს ციფრები წინა მთავრობასაც მემკვიდრეობით ერგო და, ვფიქრობ, რალაც მომენტში მიხვდნენ, რომ სიტუაციისა და სტატისტიკის გამოსწორება არ შეეძლოთ. თუკი რამდენიმე წელია ხელისუ-



ფლებში ხარ და ცვლი სტატისტიკას, რაც, ამ შემთხვევაში, უმუშევრობის გაზრდილ მაჩვენებელს გულისხმობს, აღიქმება ისე, თითქოს შენი ხელისუფლების პერიოდში იმატა უმუშევრობის დონემ. არადა უბრალოდ სტატისტიკა რეალობას დაუახლოვდა და უფრო ზუსტი მონაცემები გაქვს სამუშაოდ.

არასამთავრობო ორგანიზაციებმა, კვლევითმა ინსტიტუტებმა, მედიამ, საერთაშორისო ორგანიზაციებმა და ჩართულმა მოქალაქეებმა დღის წესრიგში უნდა დააყენონ ეს საკითხი და მისცენ ბიძგი მთავრობას, რომ უმუშევრობის შესახებ მონაცემები სანდო გახადონ. საზოგადოებრივი მხარდაჭერა ამ საკითხში უმნიშვნელოვანესია.

პირადი გამოცდილებიდან ვიცი, რომ ადამიანური რესურსები პრობლემა არ არის. საქსტატის წარმომადგენლები, ვისაც შევხვედრივარ, საკმარისად პროფესიონალები და შთამბეჭდავები არიან. თუმცა ციფრები ხშირად თავისით

აგრძელებენ ცხოვრებას და მხოლოდ პოლიტიკური ნებაა საჭირო, რომ ეს მონაცემები დაზუსტდეს.

ეს ყველაფერი შესაძლოა ზედმეტად ტექნიკურ საკითხად ჟღერდეს, მაგრამ უმუშევრობის სტატისტიკის სიზუსტე უმთავრესია თავად უმუშევრობის გასააზრებლად. იქედან გამომდინარე, რომ უმუშევრობა ქართული ოჯახების უდიდესი პრობლემაა, ზუსტი მონაცემების შესაგროვებლად ნაბიჯების გადადგმა დაუყოვნებლივ უნდა დაიწყო. **☒**

**ჰანს გუტბორდი საქართველოში 10 წლის განმავლობაში ცხოვრობდა და მუშაობდა “კავკასიის კვლევითი რესურს-ცენტრი“-ს რეგიონულ დირექტორად სომხეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში. ამჟამად აგრძელებს კვლევით საქმიანობას კანადაში.**



ფოტო: ლევან ნიკიფორაძე

# "თუ აღამიანი ბახაოსდამსვანი ახი ახის, ის წახსუნს ახუთვნის"

ინტერვიუ მწერალთან და „კავკასიური სახლის“ ხელმძღვანელთან  
ნაირა გელაშვილთან

საქართველოს ენერგეტიკული განვითარების მიმართულებაზე, ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობასა და გარემოსდაცვით პოლიტიკაზე, ეკოლოგიური ცნობიერების გაზრდაში საზოგადოებისა და სოციალური ინსტიტუტების როლზე „ლიბერალის“ შეკითხვებს „მწვანე აქტივისტი“ ნაირა გელაშვილი პასუხობს.

ქალბატონო ნაირა, თქვენ „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი აქტიური მხრდამჭერი იყავით, სიტყვით გამოხვედით საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნების“ დამფუძნებელ ყრილობაზეც. ის, რომ გარემოსდაცვითი საკითხები

კოალიციამ ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად დაასახელა, იყო თუ არა თქვენი გადანყვეტილების ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორი? ჩვენ ყველამ „ქართული ოცნება“ იმ ერთადერთ ძალად აღვიქვით, რომელ-

საც შესწევდა უნარი დაესრულებინა ჩვენს თავს დატეხილი ცხრანლიანი კომმარი. ეს კომმარი კი მდგომარეობდა არა მხოლოდ „დაუფინყარ“ ძალადობაში ადამიანის, არამედ, ჩვენი სასიცოცხლო სივრცის მიმართაც.



ამიტომ მეც და სხვებიც „ქართული ოცნებისგან“ ველოდით ყველა ფუნდამენტური ფასეულების, მათ შორის ბუნებრივი მემკვიდრეობის: მდინარეების, მთების, ტყეების და ა. შ. დაცვას. მართლაც, მათ პროგრამაში აშკარად გამოკვეთილი იყო ეკოლოგიური და გარემოსდაცვითი ცნობიერების ნიშნები და დაპირებები. ერთადერთხელ მქონდა ბატონ ბიძინასთან შეხვედრა. ვუთხარი, რამდენი ჰესის აშენებას გეგმავდნენ „ნაციონალები“, რამდენი მდინარის განადგურებას ნიშნავდა ეს და რამდენად იზრდებოდა ამით ბუნებრივი კატასტროფების რისკი. ჩემი შთაბეჭდილებით ჩემ წინ იდგა ადამიანი თანდაყოლილი მგრძნობელობით ცოცხალი ბუნებისა და მისი სილამაზის მიმართ (ამიტომ იმ წუთებში იგი ვეღარ დავეუკავშირე იმ სრულიად დამორგუნველ სასახლეს თბილისის თავზე, რომელსაც მუდამ ვაკრიტიკებდი). ამანაც განაპირობა, რომ საბოლოოდ სიტყვით გამოვედი. ცივილიზებული საზოგადოებისთვის უკვე ძალზე ნაცნობი აზრის გამოთქმას ვცდილობდი, კერძოდ, რომ ადამიანის პასუხისმგებლობის არეალი უნდა გაიზარდოს და მეორე ადამიანის გარდა ბუნების საგნებზეც, ყველა სულიერი არსებაც უნდა მოიცვას, ანუ ადამიანმა ბოლოდაბოლოს უნდა გააცნობიეროს, რომ მას მართებს იყოს ეთიკური არა მხოლოდ სოციუმის, არამედ მთელი სამყაროს, მცენარეებისა და ცხოველების მიმართაც. ეს არის უკანასკნელი საუკუნეების ევროპული აზროვნების ყველაზე კეთილშობილური და ღრმა ნაკადი, ერთადერთი, რომელიც მომავალს უხსნის გზას. ჩვენთან კი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან მსოფლგანცდას უპირველესად ვაჭა-ფშაველას პოეზიაში აქვს ფესვი გადგმული. ეს არის ჩვენი სულიერი მემკვიდრეობა და ჩვენი მსოფლზნაობის საფუძველი, და როცა მთებს და ხეობებს ანადგურებ თუ შელის მოკვლას

კანონით აწესებ, საკუთარ ფესვებს ხრავ და ეროვნულ უსახობას, არარაობასა და კანიბალიზმს უხსნი გზას. სამწუხაროდ, იქვე ვიგრძენი, რომ ეს რეგისტრი რალაც უადგილოდ ჟღერდა და იმ მაჟორულად განწყობილი დარბაზის დიდი ნაწილი ამ პრობლემის მიმართ გვარიან უგრძნობლობას ამჟღავნებდა. იგრძნობოდა „ძველი ნაღმების“ კლიშეებისა და ლოზუნგური „სიმართლეების“ სუნთქვა.

**■ გზა, რომელსაც „ოცნება“ და ენერგეტიკის სამინისტრო დაადგინენ, ნიშნავს რომ საქართველო ადამიანთა საცხოვრისად აღარ ივარგებს და უბრალოდ ტერიტორიად გადაიქცევა. განათლების, სოფლის მეურნეობისა თუ ბევრ სხვა სფეროში დაშვებული შეცდომები ადრე თუ გვიან შეიძლება გამოვასწოროთ. მაგრამ ის, რაც აღარასდროს აღდგება, არის განადგურებული, დანგრეული და აფეთქებული ხეობები, მკვდარი ტბები და მდინარეები.**

მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, კახა კალაძის ენერგეტიკის მინისტრად დანიშვნისა და მისი ბიზნეს-ინტერესების შესახებ თქვენ განაცხადეთ, რომ „ქართულ ოცნებას“ „პირველი მძიმე ჩრდილი დაეფინა“. რას ფიქრობთ ამჟამად ენერგეტიკის სამინისტროს მუშაობაზე?

ეს ჩრდილი დღეს კიდევ უფრო გამოუქდა. თავიდანვე მთელი საზოგადოების განცვიფრება გამოიწვია იმან, რომ მინისტრად არაპროფესიონალი ადამიანი დაინიშნა. ჩვენ ყველა მთავრობას ამას ვუწიოდით და ახლაც ეს მოხდა: ასეთი რთული და სტრატეგიული დარგის მინისტრად დაინიშნა ადამიანი, რომელსაც დარგთან შეხება არ ჰქონდა. მოგვიანებით კი ნაციონალური მოძრაობის წევრებისგან შევიტყვეთ ის, რაც დაგვიმალეს, რომ კახი კალაძე თურმე სწორედ საკუთარი ფინანსური ინტერესების გამო მოხვდა ამ ადგილას. ვის და როგორ გადაუფორმა მან თავისი 49%-იანი წილი, ეს კიდევ საკითხავია.

ადამიანები ახალი ხელისუფლებისგან ზნეობრივ განახლებას ელოდნენ და არა მხოლოდ პურს. თუმცა ძალიან კარგად შემიძლია წარმოვიდგინო ის უზარმაზარი სიძნელებები, რომელთა წინაშეც პირადად ბიძინა ივანიშვილი აღმოჩნდა.

გზა, რომელსაც „ოცნება“ და ენერგეტიკის სამინისტრო დაადგინენ, ნიშნავს რომ საქართველო ადამიანთა საცხოვრისად აღარ ივარგებს და უბრალოდ ტერიტორიად გადაიქცევა. განათლების, სოფლის მეურნეობისა თუ ბევრ სხვა სფეროში დაშვებული შეცდომები ადრე თუ გვიან შეიძლება გამოვასწოროთ. მაგრამ ის, რაც აღარასდროს აღდგება, არის განადგურებული, დანგრეული და აფეთქებული ხეობები, მკვდარი ტბები და მდინარეები. აქ, კალაძის ფანტაზიით, აღარც თერგი უნდა ქუხდეს, აღარც არაგვი და მათ ნაცვლად გიგანტური რკინის მილები უნდა გაწვინდნენ ხეობებში. ნამდვილი აპოკალიპსური ლანდშაფტია!

ჩვენს შვილებს კარგი და ლამაზი ვერაფერი დავახვედრეთ. ერთადერთი ბუნება დარჩა, მთები, ხეობები, ტყეები და ველ-მინდვრები, – სილამაზის, სიმშვიდის, სილალის საუფლო, სადაც ქალაქის სნეული ცხოვრებით

გამოფიტულ ახალგაზრდებს სულიერი ძალების აღდგენა შეუძლიათ. მას-სოვს, როგორ ავივსეთ პოეზიით და ახალი სასიცოცხლო ძალებით მე და ჩემი მეგობრები, როდესაც პირველად მოვხვდით ალპინიზმში უნიკალურ ხდის ხეობაში, რომელსაც ახლა განადგურება დაუპირეს. მაინტერესებს, მისი მოსპობის სანაცვლოდ რა უნდა მოგვცენ? ისედაც როგორაა ეს საკითხი გადაბმული სოფლის მეურნეობის განვითარების გეგმებთან, როცა არსებობს მცირემინიანი ქვეყნის 2000 ჰექტრის წყლით დაფარვის გეგმა?

საბჭოთა ეპოქიდან მოყოლებული ეს ტექნოკრატები მართლა ემშაბებოდნენ შეუზღვევნი ხაიშისა და სხვა სვანური სოფლების მოსახლეობას: გაყიდეთ თქვენი მიწა-წყალი, წყალში ჩაძირეთ თქვენი მამა-პაპის, შვილებისა თუ და-ძმის საფლავები! სინმიდეები, ეკლესიები, სავარგულებო! ამისკენ მოვუწოდებთ ხალხს? ის, რასაც ამდენი წელია ხაიშელები უძლებენ, – გმობობის ტოლფასია. ეს მატერიალისტი ტექნოკრატები რომ მიუშვა, რაც საქართველოს თავზე ვარსკვლავებია – იმათაც გაყიდონ. არ ესმით, რომ ყველაფრის გაყიდვა და ფულად ქცევა არ შეიძლება!

ამასობაში კი კახა კალაძე უკვე იმ გარემოსდამცველების შეურაცხყოფაზე გადავიდა, რომლებიც ენერგეტიკის სამინისტროს პოზიციას არ ეთანხმებიან. შეიძლება, მინისტრი არ იყოს-დარგის სპეციალისტი, მაგრამ იყოს მგრძობიარე მშობლიური ბუნებისა და ცოცხალი სილამაზისადმი, თავისი დაუმასხინებელი, პირველადი შეგრძნებებით სწორი დამოკიდებულება ჰქონდეს სამყაროს, სიცოცხლისა და საკუთარი ხალხის ბედის მიმართ. მაგრამ არც ამ შემთხვევასთან გვაქვს საქმე.

საზოგადოებაში ტრიალებს აზრი, რომ კალაძე მხოლოდ ფიგურაა, რომლის ხელითაც გარკვეული საქმე

კეთდება და ამ პროცესების უკან დიდი ფინანსური ინტერესების მქონე ჯგუფი დგას, მათ შორის ნაციონალებიც. ეს არ ვიცი, მაგრამ რაც ნამდვილად ვიცი, ის არის, რომ ამ „ენერგეტიკულმა სტრატეგიამ“ „ქართულ ოცნებას“ უამრავი საუკეთესო ადამიანი დააკარგინა, რადგან ისე გამოდის, რომ ეს ხელისუფლება ერთი ხელით აშენებს და მეორეთი ანგრევს. ამას ღრმა გულისტკივილით, თითქმის სასონარკვეთით ვამბობ, რადგან არც ჩემი ქვეყანა მემეტება ამისთვის და არც ბიძინა ივანიშვილი ამ „მისისთვის.“ ის მართლაც ისტორიული მნიშვნელობის პროცესებია, ეს კი დიდ ჩრდილს მიაცენებს მას. უმეტესობას მის ირგვლივ დასაკარგი ხომ არაფერი აქვს.

### **გარემოსდამცველებს ბოლო დროს ხშირად უწოდებენ განვითარების მტრებს. პრემიერ-მინისტრი, ენერგეტიკის მინისტრი და სხვებიც ამბობენ, რომ ქვეყანას ეს პროექტები ენერგოდამოუკიდებლობისა და უსაფრთხოებისთვის სჭირდება. რა შეგიძლიათ მათ უპასუხოთ?**

ეს უკვე შაბლონურ ფრაზად იქცა, რადგან მაგის მეტი, როგორც წესი, არაფერი აქვთ სათქმელი. ამას ამბობდა ყველა, საბჭოთა ტექნოკრატული მაფიიდან დანყებული. ძალიან კარგი წერილი გამოაქვეყნა გარემოსდამცველმა ირაკლი მაჭარაშვილმა, სადაც აჩვენა, რომ ასეთ მითებს თვითონ წარსულში ჩარჩენილი ენერგეტიკოსები თხზავენ, შეგნებულად ან გულწრფელად. სამწუხაროდ, ის ძალები, რომლებიც ხელისუფლებაში მოდიან, ჩვეულებრივ, არ გამოირჩევიან ფართო ჰუმანიტარული განათლებით, რისი ნაწილიცაა ეკოლოგიური აზროვნება.

მთელ დასავლურ სამყაროშიც უკვე აქსიომაა, რომ თუ ადამიანი ეკოლოგი და გარემოსდამცველი არ არის,

ის წარსულს ეკუთვნის და მომავალს ვერ ააშენებს. ის, ვისაც კი ბუნების მიმართ მგრძობილობა აქვს, ღიაა სამყაროსათვის, მომავლისთვის. გამუდმებით ადამიანის უფლებებზე რომ ვსაუბრობთ, განა ადამიანის უპირველესი უფლება მისი სიცოცხლის უფლება არ არის? როგორ უნდა მოხდეს ამ უფლების რეალიზება სასიცოცხლო სივრცის განადგურების პირობებში?

ჩვენ, ეკოლოგიური კატასტროფების ეპოქაში მცხოვრებთ ტექნიკის განადგურებელი ზემოქმედება ცოცხალ ორგანიზმებზე, კლიმატის ცვლილება და გლობალური დათბობა თუ მოგონილი გვეგონია, თუ რადიაციის მატება არ გვაშინებს, თუ მონამლული, „აგრესიული“ წყალი და ჰაერი არ გვაფიქრებს, მაშინ წარსულს ვეკუთვნივთ და ვერ გადავრჩებით.

ენერგეტიკის სამინისტროს პოზიციამ იმ სიტუაციას ჰგავს, გასათბობად რომ სახლი დანვა. პრობლემა ცნობილია, მაგრამ მისი გადაჭრის სხვა გზებიც არსებობს. ისე იწუნებენ ე. წ. განახლებადი ენერჯების გზას, რომ არც სწავლობენ სერიოზულად.

ვისაც მართლა აინტერესებს პრობლემის გადაჭრა, ის სერიოზულად უნდა მუშაობდეს ამ საქმის სპეციალისტებთან და არა მხოლოდ იმ საბჭოთა ენერგეტიკოსებთან, რომლებთანაც სავსეა ენერგეტიკის სამინისტრო. რომლებსაც მას მერე ახალი ცოდნა აღარ შეუძენიათ და საბჭოთა დროის დანუნებული პროექტების ამოქმედებაზე ოცნებობენ.

როდესაც გვეუბნებიან, რომ ენერჯია გვჭირდება, რომ ენერგოდამოუკიდებლობა გვჭირდება, იქნებ სჯობდეს, ჯერ ის გვითხრან, როგორ ქვეყანას ვაშენებთ. არ გვეღირსა ეკონომიკური განვითარების კონცეფცია, რომელსაც დაეფუძნებოდა ენერგეტიკული სტრატეგია. შევთანხმდეთ, რას ვაშენებთ, ინდუსტრიულ სახელმწიფოს, უზარ-

მაზარი სანარმოებითა და ენერჯის მშთანთქმელი ცენტრალებით? რას ვა- ვითარებთ: ენერჯიატევად თუ მეცნიე- რებატევად დარგებს? ჩვენ მიგვაჩნია, რომ საქართველოში მცირე მრეწვე- ლობის დარგები, სოფლის მეურნეობა, მეცნიერება, კულტურა, ტურიზმი და ა.შ. ანუ ბუნების დამზოგავი დარგები უნდა განვითარდეს, რადგან ჩვენ ურთულესი ეკოსისტემების, აქტიური მინისძვრების ზონაში ვცხოვრობთ და ძალიან ფრთხილად უნდა ვმოქმე- დებდეთ, რომ ეს ფაქიზი და საშიში შენობა თავზე არ დავიმხოთ.

საქართველო როგორც „მწვა- ნე“ ქვეყანა, რომელიც მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტს აწარმოებს, – თავისთავად საკმაო ფინანსებსაც მოიზიდავდა და ჩვენი მოსახლეობის სრულიად შერყეულ ჯანმრთელობასაც აღადგენდა. შეგ- ნებული ტურისტი ტექნოლოგიური მიღწევების სანახავად არ დადის. ის იქ მიდის, სადაც სიცოცხლე, უნიკა- ლური ბუნება და კულტურაა დაცუ- ლი, სადაც სუფთა წყალს დალევს და ეკოლოგიურად სუფთა საკვებს მიიღებს.

**რას ფიქრობთ მწვანეთა პარტიის საქმიანობაზე, რომლის ლიდერიც კოალიციის პარტიული სიის ოცუელში შედიოდა და კოალიციის გამარჯვების შემდეგ, პრაქტიკულად, არ გვახსოვს გია გაჩეჩილაძის კრიტიკული გამოს- ვლა?**

ვფიქრობ, გიორგი გაჩეჩილაძე ხელისუფლებაში სწორედ იმიტომ შეიყვანეს, რომ მისი გაუგებლყოფა მომხდარიყო. ახლა საზოგადოების მხრიდან უზარმაზარი შეკითხვა არსე- ბობს გია გაჩეჩილაძის მისამართით. პროფესიონალი გარემოსდამცველი, მწვანეთა პარტიის ლიდერი არის კოალიციის წევრი, რომელიც ლამის ყველა მდინარეს ყიდის და წირავს. ის, რომ იგი არც გარემოს დაცვის

მინისტრად დაინიშნა და არც კომიტე- ტის თავმჯდომარედ, უკვე ავბედითი ნიშანი იყო.

**„მწვანე აქტივიზმი“, როგორც ასეთი, ქვეყანაში ფაქტობრივად არ არსებობს, გარემოსდამცველები ხშირად მიუთი- თებენ, რომ დაბალია ეკოლოგიური ცნობიერებაც. ეკოლოგიური პრობლე- მების შესახებ გამართულ აქციებზეც, როგორც წესი, ძალიან ცოტა ხალხია.**

**■ მთელ დასავლურ სამყაროშიც უკვე აქსიომაა, რომ თუ ადამიანი ეკოლოგი და გარემოსდამცველი არ არის, ის წარსულს ეკუთვნის და მომავალს ვერ ააშენებს.**

**ის, ვისაც კი ბუნების მიმართ მგრძნობელობა აქვს, ღიაა სამყაროსათვის, მომავლისთვის.**

**გამუდმებით ადამიანის უფლებებზე რომ ვსაუბრობთ, განა ადამიანის უპირველესი**

**უფლება მისი სიცოცხლის უფლება არ არის? როგორ უნდა მოხდეს ამ უფლების რეალიზება**

**სასიცოცხლო სივრცის განადგურების პირობებში?**

**რატომ ხდება ასე, რატომ არის ამ მიმართულებით ნაკლები ინტერესი და აქტივობა?**

ყველაზე მთავარი ისაა, რომ იდეის დისკრედიტაცია მოხდა. უფრო ადვი- ლია თავიდან შექმნა რაღაც ახალი, ვი- დრე ძველი აალორძინო. 90-იან წლებ- ში მწვანეთა მოძრაობა ზურაბ ჟვანიას წყალობით ძალიან პოპულარული და

ძლიერი გახლდათ. ეკოლოგიური იდეა ქვეყანაში ყველაზე მეტ ადამიანს აერთიანებდა. „მწვანეთა მოძრაობა“ ყველაზე ნათელი და პროგრესული ძალა იყო, რომელმაც სხვადასხვა თაობისა და დარგის საუკეთესო სპე- ციალისტები, დიდი ინტელექტუალური რესურსი გააერთიანა, ბევრი ხმაც მიი- ლო და პარლამენტშიც შევიდა. მაგრამ შემდეგ თავისივე იდეებს უღალატა. შევარდნაძის პერიოდში რომ დაიწყო ტყეების უკონტროლო მასობრივი ჩეხვა, პარკების გაპარტახება და სხვა პროცესები, მერე ამან შეუქცევადი ხასიათი მიიღო.

გარდა ამისა, მზარდი სილატაკე არც ეკოლოგიისთვის და საერთოდ, არც დემოკრატიისთვის არ ტოვებს სივრცეს. დემოკრატია იმ ქვეყნებში ძლიერდებოდა, რომლებიც აღმავალი კეთილდღეობის გზით მიდიოდნენ. ჩვენ კი იმ დროში მოგვინია სილა- ტაკემ, როცა დრო აღარ ითმენს. როცა მთელი პლანეტა დასნეულე- ბულია და უკვე სასმელი წყლისა და საკვები პროდუქტების პრობლემა დგება. გლობალური დათბობა იმაზე სწრაფად მიიწვეს წინ, ვიდრე მეცნიე- რებს ეგონათ და ვიდრე მას შეიძლება მეცნიერული აზრი დაენიოს. ეკო- ლოგიურ კატასტროფებს ჩვენნიარი ღარიბი ქვეყანა ვერ გაუმკლავდება.

**რას ფიქრობთ გარემოს დაცვის სამი- ნისტროს საქმიანობაზე?**

გარემოს დაცვის მინისტრი პროფე- სიონალია, სამინისტრო ამოძრავდა და თითქოს ცდილობს თავის სიმაღლეზე იდგეს. მაგრამ მეტი მოეთხოვებათ. მინისტრი ისეთი მეტროქოლი უნდა იყოს, რომელსაც არავისი ემბინა, ის პრესკონფერენციას პრესკონფე- რენციაზე უნდა აწყობდეს და გა- ნუწყვეტლივ აწვდიდეს საზოგადოებას ინფორმაციას. ზოგადად კი მგონია, რომ გარემოს დაცვის სამინისტრო განათლებისა და კულტურის სამი-



ნისტროებთან ერთად უნდა მუშაობდეს. მათი ერთობლივი მოვალეობა და მიზანი ახალი თაობის აღზრდა უნდა იყოს. კულტურა ხომ მხოლოდ ხელოვნება არაა, როგორც ჩვენთან ჰგონიათ. ეს, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის ყოფითი კულტურაა – მისი ქცევის წესები, მისი მიმართებები სხვა ადამიანებთან, ბუნებასთან და ყველაფერ ცოცხალთან. დღეს არანაირი განათლება არაფერს აღარ ნიშნავს, თუ ის ეკოლოგიურ განათლებასაც არ შეიცავს. საჭიროა ბავშვობიდანვე გაიზარდოს ადამიანი დედამიწის მოქალაქედ. ამისთვის საჭიროა შესაბამისი საბავშვო ლიტერატურის, ანიმაციური და დოკუმენტური ფილმების, სპექტაკლების და ა. შ. სტიმულირება.

## **რამდენად აქტიურები არიან გარემოსდამცველი ორგანიზაციები ან სხვა სოციალური ინსტიტუტები, თუნდაც მედია, ეკლესია და ა.შ.?**

სავალალო სწორედ ის არის, რომ ეს პრობლემა არ ანუხებთ არც ჩვენს ჟურნალისტებს, არც „ექსპერტებს“, არც „ინტელექტუალებს“, არც სულიერ მწყემსებს და არც პარტიებს.

არასამთავრობო ორგანიზაციებიც არ არიან საკმარისად აქტიურები. შეიძლება არ ყოფნით ძალები და ფინანსები. თუმცა ბევრია მართლა პროფესიონალი და თავდადებული გარემოსდამცველი, განსაკუთრებით „მწვანე ალტერნატივაში“ და ორგანიზაცია „სტეფანწმინდაში“.

საინტერესოა, რატომ დუმს ეკლესიაც. მიკვირს რომ ეკლესია პასიური იყო მაშინაც, როცა მის სამწყსოს ფეხქვეშ იგდებდნენ და მაშინაც, როცა ბუნება ნადგურდებოდა. ბუნება ღმერთის შესაქმე არ არის? ღმერთს ბუნების გარდა არაფერი შეუქმნია, ხილულ სამყაროს ვგულისხმობ. ადამიანიც ბუნებაა, მისი გვირგვინი (რომელიც ბუნების გამნადგურე-

ბლად იქცა). როცა ნადგურდება ტბა, მდინარე, სასიცოცხლო სივრცე, ნუთუ ეკლესია ამ დროს განგაშის ზარებს არ უნდა რეკდეს?

რაც შეეხება ჩვენს ტელევიზიებს, მათ რომ ფასეულობები ესმოდეთ და მათი დაცვის სურვილი ამოძრავებდეთ, რაღა გეჭირდა. თუ ხალხს არ მიაწოდებ ინფორმაციას, რა ელის აჭარას, სვანეთს, რაჭას, ყაზბეგს, იქნება ბურანში

## **■ საინტერესოა, რატომ დუმს**

**ეკლესიაც. მიკვირს რომ**

**ეკლესია პასიური იყო მაშინაც,**

**როცა მის სამწყსოს ფეხქვეშ**

**იგდებდნენ და მაშინაც, როცა**

**ბუნება ნადგურდებოდა.**

**ბუნება ღმერთის შესაქმე არ**

**არის? ღმერთს ბუნების გარდა**

**არაფერი შეუქმნია, ხილულ**

**სამყაროს ვგულისხმობ.**

**ადამიანიც ბუნებაა, მისი**

**გვირგვინი (რომელიც ბუნების**

**გამნადგურებლად იქცა). როცა**

**ნადგურდება ტბა, მდინარე,**

**სასიცოცხლო სივრცე, ნუთუ**

**ეკლესია ამ დროს განგაშის**

**ზარებს არ უნდა რეკდეს?**

და ამ ბურანში ეწვევა კატასტროფა.

ეკოლოგიური საკითხები სწორედ იმითაა გამორჩეული, რომ არ სეზობს ლოკალური ეკოლოგიური პრობლემა, ეს ყველას ეხება. მწვანეთა მოძრაობები მთელ მსოფლიოში ნებისმიერ ფაქტს ერთად აპროტესტებენ, რადგან იციან, რომ ზიანი და შედეგე-

ბი ყველასთან მივა, სულ ერთია სად ზიანდება სიცოცხლე და დედამიწა.

## **როგორია თქვენი, როგორც მწვანე აქტივისტის ალტერნატივა, როგორ განვითარებას სთავაზობთ ქვეყნის მესვეურებს?**

პირველ ყოვლისა, უნდა დაიდოს ეკონომიკური განვითარების კონცეფცია, ამას დაეყრდნოს ენერგეტიკული სტრატეგია, დღევანდელი მსოფლიოს ეკოლოგიური საფრთხეების გათვალისწინებით. როდესაც ვამბობთ, რომ ორიენტაცია დასავლეთზე გვაქვს ალბუი, იციან კი, რომ იმავე ევროპაში როდესაც ტექნოკრატები დამანგრეველ გზას დაადგენ, ამას სწორედ ის მსოფლმხედველობა დაუპირისპირდა, რის გამოც ევროპას ვცემთ პატივს - არა იმიტომ რომ იქ ტექნიკამ მოსპო სიცოცხლე, არამედ იმიტომ, რომ მათ ამისგან მწარე გაკვეთილი მიიღეს, დაკარგეს ბრწყინვალე ევროპული ლანდშაფტები, მაგრამ მიხვდნენ შეცდომას და ამ ყველაფერს საწინააღმდეგო ეკოლოგიური ცნობიერებით გაჯერებული მწვანეთა მოძრაობები დაუპირისპირდა. ჩვენ ევროპისგან ვიღებთ დესტრუქციულ და არა კონსტრუქციულ ტენდენციებს. ნეკროფილურ, გამანადგურებელ ტენდენციებს და არა იმას, რაც მართლა პატივისცემის ღირსია, რითაც ისინი მომავალს ქმნიან და თავისივე ნიაღში წარმოქმნილ გამანადგურებელ ტენდენციებს ებრძვიან.

ყველაზე მონინავე, ზუსტი მეცნიერულ-ეთიკური დასკვნა კი ის არის, რომ კაცობრიობამ მომჭირნე, ეკონომიური, თავმდაბალი ცხოვრება და უბრალოების სიყვარული უნდა ისწავლოს. გაიაზროს, რომ ეს გაუმძღრობა და ზღვარგადასული ფუფუნებისკენ ლტოლვა, რაც უამრავ ენერგიას მოიხმარს და ბუნებას ფიტავს, – საბოლოოდ ნებისმიერ საზოგადოებას დალუპავს. ■

A promotional poster for the TV show 'Sherlock'. It features the two main characters, Sherlock Holmes and John Watson, walking towards the viewer in a dark, foggy street. Sherlock is on the left, wearing a long dark coat and a blue scarf. John is on the right, wearing a dark jacket over a plaid shirt. The background is a misty, greyish-blue street with faint, ghostly images of the characters' faces. The title 'SHERLOCK' is written in large, white, distressed letters across the middle.

# SHERLOCK

3300 | 0000 | 0000  
22:00 0000







სამართალმცოდნეობის ინსტიტუტი





# სახხაბდის ბახაშა

ზურაბ ვარდიაშვილი

ფოტოების მიხედვით  
თუ ვიმსჯელებთ,  
საქართველოს  
ექსპრემიერი, ამჟამად  
კი ბრალდებული  
ვანო მერაბიშვილი  
სასამართლო სხდომის  
დანყებამდე საკმაოდ  
კარგ ხასიათზე იყო.  
თუმცა ხუთსაათიანი  
პროცესის შემდეგ  
განწყობა შეეცვალა –  
ქუთაისის საქალაქო  
სასამართლომ  
ნაციონალური  
მოძრაობის გენერალურ  
მდივანს ორთვიანი  
წინასწარი პატიმრობა  
შეუფარდა.

დაკავებისა და ბრალის წარდგენის დეტალები ფართო საზოგადოებისთვის ისედაც ცნობილია – პროკურატურა მერაბიშვილს სისხლის სამართლის კოდექსის 164-ე პრიმა მუხლის, 182 მუხლის მეორე ნაწილის ბ ქვეპუნქტის, და 322-ე მუხლის მეორე ნაწილის დარღვევაში ადანაშაულებს. ეს მუხლები ამომრჩევლის მოსყიდვას, თანხის მითვისება-გაფლანგვას და სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას ეხება.

ექსპრემიერისთვის ინკრიმინირებული დანაშაული 7-დან 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ბრალდების მტკიცებით, პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე ყოფნის დროს ვანო მერაბიშვილმა ჯანდაცვის მაშინდელ მინისტრ ზურაბ ჭიაბერაშვილთან ერთად „დაგეგმა და განახორციელა თვალთმაქცური ოპერაცია.“ ეს ოპერაცია წინასაარჩევნოდ ნაციონალური მოძრაობის აქტივისტების დასაფინანსებლად განხორციელდა. უმუშევართა დასაქმებისა და აღრიცხვის სახელმწიფო პროგრამიდან 5,2 მილიონი ლარი გამოიყო და 22 ათას პარტიულ აქტივისტს 240-240 ლარი ჩაერიცხა. პროკურატურის ინფორმაციით ეს აქტივისტები სოციალური სააგენტოს თანამშრომლებად „მოჩვენებითად იყვნენ გაფორმებული.“

ჯანდაცვის ყოფილი მინისტრი, ზურაბ ჭიაბერაშვილი, სასამართლომ 20 ათას ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა. მერაბიშვილის პატიმრობაში დარჩენას საფუძვლად ისიც დაერთო, რომ მას დამატებითი ბრალდებაც წარედგინა. „ივანე მერაბიშვილს დასვენებისთვის მოეწონა ხელვაჩაურის რაიონის სოფელ კვარიათში ზღვის პირას მდებარე, შპს „საერთაშორისო საინვესტიციო კომპანიის“ კუთვნილი ფეშენებლური აგარაკი და, 2009 წლის მაისში, ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, მესაკუთრის ნების საწინააღმდეგოდ, იძულებით და დაშინებით დაიკავა იგი“.

მართალია სასამართლო პროცესი ორი აქციის, მერაბიშვილის მომხრეთა და მხარდამჭერთა აქტიურობის ფონზე მიმდინარეობდა, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ამ

მოვლენამ მოსალოდნელზე უფრო მშვიდად ჩაიარა.

ექსპრემიერის დაკავებას საერთაშორისო გამოხმაურება მოჰყვა, სამხრეთ კავკასიაში ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის წარმომადგენელი ჯოაო სუარეში პარლამენტის თავმჯდომარეს დაუკავშირდა, განცხადებები გაავრცელეს ევროკავშირის საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლესმა წარმომადგენელმა კეტრინ ეშტონმა და ევროპული სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში ევროკომისარმა შტეფან ფულემ, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსპიკერის მოადგილე პატრიკ ვენტრელმა...

თუმცა ეს რეაქცია ის არ იყო, რასაც პრეზიდენტმა სააკაშვილმა „საერთაშორისო იზოლაციის საფრთხე“ უწოდა, საერთაშორისო თანამეგობრობის წარმომადგენელთა უმრავლესობა ექსპრემიერის დაპატიმრებას უპირობოდ არ აკრიტიკებს, ისინი მხოლოდ სასამართლო პროცესის გამჭვირვალედ და კანონის უზენაესობის დაცვით წარმართვას ითხოვენ.

პრეზიდენტის რეაქციას გადაჭარბებულად აფასებს პოლიტოლოგი, ილიას უნივერსიტეტის პროფესორი გია ნოღიაც, თუმცა იმ ნაწილში ეთანხმება, რომ ექსპრემიერის დაპატიმრებით საქართველოს იმიჯი სერიოზულად შეილახება.

„მერაბიშვილის დაპატიმრება პოლიტიკურად მოტივირებული ქმედებაა. ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ წინა ხელისუფლებაში უკანონოდ არავის არაფერი გაუკეთებია, თუმცა მოვლენებს მთლიან პოლიტიკურ კონტექსტში უნდა შევხედოთ, ეს ასეა“, – აცხადებს ნოღია „ლიბერალთან“ საუბარში. ის მიიჩნევს, რომ პოლიტიკური დაპირისპირება პოლიტიკურ დაპირისპირებად უნდა დარჩეს და „ვარაუდებზე დაყრდნობილ სამართლებრივ დევნაში“ არ უნდა გადაიზარდოს.

საპარლამენტო უმცირესობის ლიდერის, დავით ბაქრაძის თქმით, ნაციონალური მოძრაობა მუშაობის საგანგებო რეჟიმზე გადადის. პარტიისთვის რა პროცესის დასაწყისი შეიძლება აღმოჩნდეს „ხერხემლად“ წოდებული გენერალური მდივნის დაკავება?

■ თუმცა ეს რეაქცია ის არ იყო, რასაც პრეზიდენტმა სააკაშვილმა „საერთაშორისო იზოლაციის საფრთხე“ უწოდა, საერთაშორისო თანამეგობრობის წარმომადგენელთა უმრავლესობა ექსპრემიერის დაპატიმრებას უპირობოდ არ აკრიტიკებს, ისინი მხოლოდ სასამართლო პროცესის გამჭვირვალედ და კანონის უზენაესობის დაცვით წარმართვას ითხოვენ.



ფოტო: სურენ პოპოვიანი

გია ნოდია შიშობს, რომ ამით ხელისუფლება „ნაციონალური მოძრაობის მარგინალიზაციის და დასუსტების პროცესის შეუქცევადობის უზრუნველყოფას ცდილობს.“

რაც შეეხება მარგინალიზაციას, უნდა აღინიშნოს, რომ ხელისუფლების წარმომადგენელთა დიდი ნაწილი და თავად პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი ნაციონალურ მოძრაობას ლეგიტიმურ ოპოზიციურ ძალად არც განიხილავს.

მერე რა? კითხვას სვამს სოციოლოგი, თსუს პროფესორი იაგო კაჭკაჭიშვილი „პოლიტიკური ძალა ჩნდება და ქრება, ძლიერდება და სუსტდება საზოგადოების მხარდაჭერის შესაბამისად. ეს რეიტინგები იზომება. რაც ვიცი, ნაციონალური მოძრაობის მხარდაჭერა ათ პროცენტს არ სცილდება, ეს გაქრობა არ არის, თუმცა მნიშვნელოვანი დასუსტებაა“.

კაჭკაჭიშვილისთვის „ნაციონალური მო-

ძრაობის“ საგანგებო რეჟიმზე გადასვლა არაფერს ნიშნავს. სოციოლოგის აზრით ყოფილი ხელისუფლების ახლანდელი მდგომარეობა იმის მოლოდინს არ ქმნის, რომ „რაიმე სერიოზული პროცესების გამოწვევა შეუძლიათ.“ აღსანიშნავია, რომ ამ რეჟიმის ცვლილება არავითარ ქმედით ნაბიჯებში არ ასახულა და ჯერჯერობით განცხადებადვე რჩება.

რა ბერკეტი აქვს ოპოზიციურ პარტიას პოლიტიკურ პროცესებზე გავლენის მოსახდენად? სავარაუდოდ, კრიტიკის გამძაფრება. ნაციონალური მოძრაობის მიერ დემოკრატიზაციის პროცესის, დამოუკიდებელი სასამართლოსა და პრესის თავისუფლების, ან ადამიანის უფლებების კუთხით ხელისუფლების კრიტიკა რეალური შედეგის მომტანი ვერ იქნება, რადგან მათი არჩევნებით ჩანაცვლება სწორედ ამ ფუნდამენტურ საკითხებში მათ მიერ დაშვებულმა

სასამართლო პროცესს  
საპარლამენტო უმცირესობის  
წევრები ესწრებოდნენ,  
ქუთაისი, 23 მაისი 2013



შეცდომებმა განაპირობა. „ეს სასაცილო და კარიკატურულიც კი იქნება“, – ამბობს იაგო კაჭკაჭიშვილი. მისივე თქმით, ისეთ სფეროებში, რაშიც ახლანდელი ოპოზიცია მეტ-ნაკლებად წარმატებული იყო, მოქმედი ხელისუფლება კრიტიკის საფუძველს არ უტოვებს. სოციოლოგი საგარეო ურთიერთობებს, აგრეთვე კორუფციასთან და კრიმინალთან ბრძოლას გულისხმობს.

„პრინციპში – ნაციონალური მოძრაობის ახლანდელი მდგომარეობა სრულებით არ „საჭიროებს“ მათი დასუსტების ან დემორალიზების ოპერაციებს. პირიქით, თუ აღმოჩნდება, რომ რასაც ახლა მერაბიშვილს უყენებენ, თითიდან გამოწოვილი ბრალდებაა, საშინლად აზარალებს ხელისუფლებას. ამ რისკზე რატომ წავიფიქვინებ?“ – ასკვნის ის.

არც ისე აქტიურად, თუმცა მაინც გამოითქვა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მერაბიშვილის დაკავება ხელისუფლებამ 17 მაისის მოვლენების საინფორმაციო გადაფარვისთვის გამოიყენა. თუმცა ეს მოვლენები ხელისუფლებას არ მიუჩქმალავს, მათ ადმინისტრაციული სახდელები დააკისრეს 17 მაისის აქციის დარბევებში მონაწილე ოთხ პირს და დაუშვეს უპრეცედენტო ფაქტი – ბრალი წაუყენეს სასულიერო პირებს, მათ შორის ერთ არქიმანდრიტს. თანაც მერაბიშვილის კალიბრის ფიგურის რაიმე მოვლენის გადაფარვისთვის გამოყენება მაინცდამაინც დამაჯერებლად არ მოსჩანს.

ჰადსონის ინსტიტუტის მკვლევრის ჩარლზ ფერბენქსის აზრით, მერაბიშვილის დაპატიმრების გამო, უახლოეს მომავალში, „კოჰაბიტაციური“ რეჟიმი სერიოზულად დაზარალდება. მომავალში რა მოხდება, ეს „ნაციონალური მოძრაობის“ ძალისხმევაზე დამოკიდებული, იმაზე, თუ რამდენად მოახერხებს, გახდეს დემოკრატიული ოპოზიციური ძალა. მკვლევარი მიიჩნევს, რომ საქართველოს სჭირდება ნაციონალური მოძრაობა, ხოლო ნაციონალურ მოძრაობას კი – ვანო მერაბიშვილი.

„თუმცა წინა ხელისუფლების პრობლემა ისიც იყო, რომ ძალისმიერ მეთოდებზე



და ბიზნესის მონოპოლიურ სქემებზე ზედმეტად დამოკიდებული გახდა. თუ ნაციონალური მოძრაობა ამ ორივე პრობლემას მოიხსნის, შესაძლოა, გადარჩეს, როგორც ოპოზიციური მოძრაობა. მერაბიშვილის, ისევე როგორც ახალაიების ჩამოცილებამ, შესაძლოა, სწორედ ამ ტრანსფორმაციას


■ „თუმცა წინა ხელისუფლების პრობლემა ისიც იყო, რომ ძალისმიერ მეთოდებზე და ბიზნესის მონოპოლიურ სქემებზე ზედმეტად დამოკიდებული გახდა. თუ ნაციონალური მოძრაობა ამ ორივე პრობლემას მოიხსნის, შესაძლოა გადარჩეს, როგორც ოპოზიციური მოძრაობა. მერაბიშვილის, ისევე როგორც ახალაიების ჩამოცილებამ, შესაძლოა, სწორედ ამ ტრანსფორმაციას შეუწყოს ხელი“. – აღნიშნავს ჩარლზ ფერბენქსი.



ფოტო: კობაკი სურგულაძე

შეუწყოს ხელი“. – აღნიშნავს ჩარლზ ფერბენქსი.

მისი თქმით, ეს დაპატიმრება საერთაშორისო ასპარეზზე პოლიტიკურ ელფერს ადვილად შეიძენს „იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ საქმე წინა ხელისუფლებას და ამჟამინდელ ოპოზიციას ეხება და დეტა-

ლებს არავინ ჩაეძიება“. ასეა თუ ისე, „ნაციონალურ მოძრაობას“ 21 მაისიდან ახალი ცხოვრების დაწყება მოუწევს, ახლა უკვე, მათივე შეფასებით, სახელმწიფოს ხერხემლად მიჩნეული ექსპრემიერისა და ყოფილი შსს მინისტრის, ვანო მერაბიშვილის გარეშე. 

სასამართლო პროცესი  
საპროტესტო აქციის ფონზე  
მიმდინარეობდა,  
ქუთაისი, 23 მაისი 2013



# "ეხთხოშიანი ოჯახი" - ქუთაისის მხრის მოლოდინშია

ქუთაისს, რომელსაც 160 ათასი ამომრჩეველი ჰყავს, მერობის კანდიდატთა შემადგენლობა შვიდკაციანმა კომისიამ განუსაზღვრა. ხოლო ქალაქის ახალი მერის დასანიშნად ადგილობრივი საკრებულოს 13 დეპუტატის პირადი არჩევანია საკმარისი.

## ნათია ბილიხოძე

იმ ფონზე, როდესაც ქუთაისის სინამდვილეში მერის არჩევა პირველად კონკურსის გზით უნდა მოხდეს, ფრიად უცნაური და მოულოდნელიც კი იყო პოლიტიკური პარტიის „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ თავმჯდომარის, დავით თარხან-მოურავის განცხადება: „ქუთაისის მერის კანდიდატურის შერჩევაზე საუბარი პრემიერ-მინისტრთან მიმდინარეობს. ივანიშვილის მიერ შერჩეულ კადრს ჩვენგან მხდაჭერა ექნება. ეს ნიშნავს იმას, რომ ის ავტომატურად ქალაქის მერია.“

ახალი პარტიის, რომელიც არსებობის სულ რაღაც თვეებს ითვლის, ეს განაცხადი, შესაძლებელია, სერიოზულად არც კი მიიჩნიო. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ადგილობრივ საკრებულოში უმრავლესობას სწორედ ეს პარტია განსაზღვრავს, ერთგვარი ალბათობის წინაშე ვდგებით – ქუთაისის მერი საკრებულომ, შესაძლებელია, ერთპიროვნული, თუნდაც პრემიერ-მინისტრის ნაკარნახევი გადაწყვეტილებით აირჩიოს.

არადა კონკურსანტების რაოდენობა უპრეცედენტო იყო და 70 აღწევდა. მათგან საბოლოოდ კომისიამ არჩევანი თორმეტზე გააკეთა. კანდიდატებს შორის ერთ-ერთ ფავორიტად, რომლის უკანაც პრემიერ-მინისტრის სახელს ახსენებენ, ამერიკაში მცხოვრებ დიმიტრი კოპალიანს განიხილავენ. სწორედ დი-

მიტრი კოპალიანს გულისხმობდა „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერიც.

„საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერის განცხადებას გამოხმაურებები მოჰყვა. ჯერ იყო და ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა პრემიერს მიმართეს. ისინი ივანიშვილისგან ითხოვენ აღიარებას, რომ თარხან-მოურავის განცხადება არ ყოფილა პრემიერთან შეთანხმებული. რამდენიმე დღის წინ კი დავით თარხან-მოურავს ქუთაისის მერობის ერთ-ერთმა კანდიდატმა, ბესიკ მიქელაძემ ქუთაისელების შეურაცხყოფისთვის სასამართლოში უჩივლა და ბოდიშის მოხდა მოითხოვა. თარხან-მოურავს ბოდიშის ნიშნად, ქუთაისის მერიის ანგარიშზე სიმბოლურად ერთი თეთრი უნდა ჩაერიცხა, რადგან მისი განცხადება ერთ თეთრად ღირდა.

ქალაქის მერის არჩევის საკითხი მას შემდეგ დადგა დღის წესრიგში, რაც ქუთაისის მერი საკრებულოს „პატრიოტთა ალიანსში“ გადანაცვლებულმა ყოფილმა თანაგუნდელებმა იმპიჩმენტის გზით გადააყენეს. მაშინ მერის გადაყენების ოფიციალურ მოტივად 19 აპრილს დაგეგმილი „დესტაბილიზაციის“ თავიდან აცილება სახელდება. რადგან ბესიკ ბრეგაძე „ნაციონალი“ იყო, ოპონენტების აზრით, მისი თანამდებობიდან ჩამოშორებით, ის „ნაციონალების“ მიტინგზე თვითმმართველობის კადრების მობილიზებას ვეღარ შეძლებდა. ერთ

დროს „ერთიანმა გუნდმა“ ბესიკ ბრეგაძე განირა – „პატრიოტების რიგებში“ სწორედ „ნაციონალები“ მოხვდნენ, ისეთები, რომელთაგან პარტიის ლაღატი, თითქმის წარმოუდგენელიც კი იყო. ამ პროცესს „პატრიოტთა ალიანსის“ ხელმძღვანელობა „ნაციონალების“ ხელებიდან ადგილობრივი თვითმმართველობის გამოგლეჯას უწოდებს.

კახა ნემსინვერიძე, ფრაქცია „ნაციონალების“ ყოფილი თავმჯდომარე, ამჟამად ფრაქცია „პატრიოტების“ თავმჯდომარე ქუთაისის საკრებულოში ამბობს: „ჩვენ ვართ საზოგადოების წარმომადგენლები ხელისუფლებაში, საზოგადოების დაკვეთა გაემიჯნა „ნაციონალების“ ხედვებს 1 ოქტომბრის არჩევნებში. ამ გადაწყვეტილებით, ჩვენ ვიტოვებთ შესაძლებლობას, განვხორციელოთ დასახული გეგმები ახალ რეალობაში.“

ტარიელ მესხი, საკრებულოს „პატრიოტთა ალიანსის“ წევრი, ასევე ყოფილი „ნაციონალი“ კი აღნიშნავს – „1 ოქტომბრის შედეგებით, იყო განცდა რომ „ნაციონალური მოძრაობა“ შეიცვლებოდა. მაგრამ არათუ შეიცვალა, არც კი აპირებდა შეენწყვიტა, ხელისუფლების ერთპიროვნული მართვა, რომელიც 2008 წლიდან დაიწყო. ამიტომ ჩვენ შევიცვალეთ პოზიციები.“

2010 წლის თვითმმართველობის არჩევნების შედეგად, ქუთაისის საკრებულოს 25-წევრიან შემადგენლობაში „ერთიანმა





ქუთაისის საკრებულო, 2013

ნაციონალურმა მოძრაობამ 21 ადგილი მოიპოვა – 10 მაჟორიტარული წესით, 11 კი – პარტიული სიით.

ამჟამად ქუთაისის საკრებულოში ოთხი ფრაქციაა შექმნილი. ყველაზე მეტი წევრი (11 ადამიანი) ახლადშექმნილ ფრაქციას - „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ - ჰყავს. სამი წევრი დარჩა ფრაქცია „ნაციონალებს“, ოთხი დეპუტატი ფრაქცია „მაჟორიტარებისა“ და ოთხი - ფრაქცია „ქართული ოცნება – ქუთაისში“. საკრებულოში დამოუკიდებელი დეპუტატების სახით არიან წარმოდგენილი მანანა კიკაბიძე (ფრაქცია „ნაციონალებს“ ყოფილი წევრი) და დავით დვალა (ქდმ-ს პარტიული სიით არჩეული დეპუტატი). მართალია, „პატრიოტებს“ 11 ხმა აქვთ, თუმცა გადამწყვეტილების გატანა არ შეუძლიათ, ამისათვის 13 ხმაა საჭირო.

„საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ ხუთიოდე თვის წინ ორგანიზაცია „წინააღმდეგობის მოძრაობის“ ბაზაზე დაარსდა. ახლადშექმნილი პარტია ვერც გამოცდილი პოლიტიკოსებით და ვერც ცნობადი სახეების სიმრავლით ვერ გამოირჩევა. ასეთ პარტიას, განსაკუთრებით კი რეგიონში, ძალიან გაუჭირდება არა თუ რეიტინგის აწევა, არამედ ცნობადობის მოპოვებაც კი. სწორედ ასეთი პარტია რიგით მეორე თვითმმართველ ქალაქის საკრებულოში სრულ

უმრავლესობას ფლობს, და ბუნებრივია, ამ უმრავლესობის წევრთა პარტიული წარსული მისთვის ნაკლებნიშვნელოვანია. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ხარისხს რაოდენობა სჯობს. „პატრიოტებსაც“ არ დაუხარჯავთ ენერგია საკრებულოს პატარა, სამ და ოთხკაციანი ფრაქციების გადმოხრებაზე, მათ მთელი გუნდი უსიტყვოდ მიიღეს თავიანთ რიგებში, გუნდი, რომელსაც ავად თუ კარგად არჩვენებში მონაწილეობის დიდი გამოცდილება აქვს. „პატრიოტების“ მთავარი სამზადისიც, ხომ, როგორც თავად აცხადებენ, მომავალი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩვენებია. „პატრიოტთა ალიანსი“ იმერეთში საკმაოდ სწრაფი ტემპით იმყარებს პოზიციებს. წყალტუბოსა და თერჯოლის საკრებულოში მათ ოთხ-ოთხკაციანი ფრაქცია აქვთ, ხოლო ტყიბულისა და ზესტაფონის საკრებულოებში სამ-სამი კაცით არიან წარმოდგენილი. პოზიციების ასეთი გამყარება სრულებითაც არ არის შემთხვევითი, თუკი გავითვალისწინებთ იმას, რომ ქუთაისში „პატრიოტებს“ იმერეთის ყოფილი გუბერნატორი, საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრი, გოჩა თევდორაძე ხელმძღვანელობს. ადამიანი, რომელიც ყოველთვის განაგებდა საკადრო პოლიტიკას ქუთაისში. არის თუ არა, თუნდაც, ქუთაისის საკრებულოს უმრავლესობის პოლიტი-

■ „ნაციონალური მოძრაობაც“ ხომ ოპოზიციანია, მხოლოდ, პრემიერისგან რადიკალურად გამიჯნული ოპოზიციანია. „პატრიოტებისგან“ ოპოზიციის დარქმევა, იქნებ სწორედ რეგიონებზე შემოქმედების ერთგვარი ხერხია, ეს ის შემთხვევაა, როდესაც სინდისის ქენჯნაც ნაკლებია - როცა არც „ნაციონალი“ ხარ და არც „ქართული ოცნების“ წევრი, მაგრამ ხარ ოპოზიციანია.

კური „მეტამორფოზა“ გოჩა თევდორაძის ზეგავლენის შედეგი, ეს კითხვა თავად გოჩა თევდორაძეს ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე დაუუსვით. მან კი გვითხრა: „ეს ჩვენი ერთობლივი გადაწყვეტილებაა, ჩვენ, ყველა შემთხვევაში, ვფიქრობდით, ჩამოგვეყალიბებინა ფრაქცია, რათა მყარი რესურსით შევხვდეთ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩვენებს. ვაცხადებთ, რომ ჩვენ მხარს ვუჭერთ პრემიერს და, ამავდროულად, ვართ ოპოზიციური ძალა.“ „ნაციონალური მოძრაობაც“ ხომ ოპოზიციანია, მხოლოდ, პრემიერისგან რადიკალურად გამიჯნული ოპოზიციანია. „პატრიოტებისგან“ ოპოზიციის დარქმევა იქნებ სწორედ რეგიონებზე შემოქმედების ერთგვარი ხერხია, ეს ის შემთხვევაა, როდესაც სინდისის ქენჯნაც ნაკლებია - როცა არც „ნაციონალი“ ხარ და არც „ქართული ოცნების“ წევრი, მაგრამ ხარ ოპოზიციანია.

ქუთაისი, საქართველოს სინამდვილეში, ის ქალაქია, სადაც მერებს ყველაზე ხშირად ცვლიან. 2003 წლიდან მოყოლებული, ქალაქმა რვა მერი გამოიცვალა (გია თევდორაძე ორჯერ იყო ამ პოსტზე არჩეული). რიგით მეათე მერს საკრებულო 29 მაისს აირჩევს და დაამტკიცებს კიდევ. კანდიდატებთან გასაუბრებას სპეციალური კომისია 27 მაისიდან იწყებს. ■

# საქართველოს ავლანუხი ბამონვევა

თუკი საქართველოს მიზანია ადგილი დაიკავოს დემოკრატიულ სახელმწიფოებს შორის, დემოკრატიული ღირებულებები უნდა დაიცვას არა მარტო ქვეყნის შიგნით, არამედ ქვეყნის გარეთაც.

ვასო კუჭუხიძე



ფოტო: ბიორჩი. კომუა

2013 წლის 13 მაისს ავლანეთში ქართული ქვედანაყოფის ბაზაზე განხორციელებულ მასიურ თავდასხმას სამი ქართველი ჯარისკაცის სიცოცხლე შეეწირა. ISAF-ის მისიაში ოთხწლიანი მონაწილეობის მანძილზე მსხვერპლმა ქართული სამხედრო ძალების მხრიდან უკვე 22-ს მიაღწია და კიდევ ერთხელ აქტუალური გახადა ქართული შენაერთების ავლანეთში ყოფნის მართებულობის საკითხი.

დანაკარგის ზრდასთან ერთად იმატებს იმ ადამიანთა რიცხვი საქართველოში, რომლე-

ბიც ქართული სამხედროების ავლანეთიდან გამოყვანას ემხრობიან. საზოგადოების გარკვეული ნაწილი კი ტრაგიკული შემთხვევების მიუხედავად მისიაში მონაწილეობის მომხრედ რჩება. ქვეყნისთვის სასიკეთო გადანყვეტილების მისაღებად აუცილებელია ამ ორ ძალას შორის ჯანსაღი დებატები, თუმცა ჯარისკაცების დალუპვით გამონვეულ ემოციურ მუხტს ხშირად საკითხის განხილვა რაციონალიზმის ჩარჩოებს მიღმა გადაჰყავს.

მხოლოდ მსხვერპლის თემით აპელირება და საკითხის ერთ განზომილებაში გან-



ქართველი ჯარისკაცები ავღანეთში, 2012

ხილვა შეცდომაა, რადგანაც იგი საკმაოდ კომპლექსურია და მჭიდრო კავშირშია, როგორც პოლიტიკურ, ასევე სამხედრო და სოციო-ეკონომიკურ ასპექტებთან. საკითხის პოლიტიკურ ჭრილში განხილვისას, ძირითადი ყურადღება უნდა ეთმობოდეს არა სამხედრო შენაერთების ავღანეთიდან გამოყვანა-არგამოყვანას, არამედ ქვეყნის საერთაშორისო როლის განსაზღვრას. თუკი საქართველოს მიზანია ადგილი დაიკავოს დემოკრატიულ სახელმწიფოებს შორის, დემოკრატიული ღირებულებები უნდა დაი-

ცვას არა მარტო ქვეყნის შიგნით, არამედ ქვეყნის გარეთაც.

გარდა ამისა, ISAF-ის მისიაში მონაწილეობა მნიშვნელოვანია ნატოსთან ურთიერთობის გაღრმავების მხრივაც. მართალია, საქართველო არ არის ალიანსის წევრი და განწევრიანების ვალდებულებები არ ითვალისწინებს ამგვარ მისიებში მონაწილეობის აუცილებლობას, თუმცა ნატო-საქართველოს შორის გაფორმებულ სტრატეგიულ დოკუმენტებში საქართველოს როლი ISAF-ის მისიაში ალიანსის მხრიდან ყოველთვის პოზიტიურად ფასდება და ინტეგრაციის პროცესში წინგადადგმულ ნაბიჯად აღიქმება. მაგალითად, 2013 წლის 15 მაისს ბრიუსელში დამთავრდა ნატოს სამხედრო კომიტეტის ორდღიანი სხდომა, რომელზეც კომიტეტის თავმჯდომარემ, კნუდ ბარტელსმა დიდი მნიშვნელობა მიანიჭა საქართველოს წვლილს ISAF-ის განხორციელებაში, რაც თავის მხრივ დადებითად მოქმედებს ქვეყნის საერთაშორისო იმიჯზე.

რაც შეეხება საკითხის სამხედრო მხარეს, ამ სფეროში მოღვაწე ანალიტიკოსთა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ საერთაშორისო მისიებში მონაწილეობა ზრდის სამხედრო შენაერთების საბრძოლო გამოცდილებას და ამალეებს ბრძოლისუნარიანობის ხარისხს. ეს არგუმენტი საკმაოდ ხშირად ისმის საქართველოშიც იმ ადამიანების მხრიდან, რომლებიც ავღანეთში ქართული შენაერთების ყოფნას ემხრობიან. მათი აზრით, ქართული ქვედანაყოფების მოქმედება ამერიკული და ბრიტანული შენაერთების გვერდიგვერდ გამოცდილების მიღების თვალსაზრისით ქართველი ჯარისკაცებისთვის მნიშვნელოვანია. თუმცა მაგალითად, შვედი სამხედრო ექსპერტთა ის ნაწილი, რომლებიც შვედური სამხედრო ნაწილების საერთაშორისო მისიებში ჩართვას ეწინააღმდეგებიან, მიიჩნევენ, რომ ამგვარ მისიებში მონაწილეობა ჯარისკაცებს თვისობრივად განსხვავებულ სამხედრო აქტივობებს აჩვენებს და ძირითად შემთხვევაში გამოუსადეგარია ქვეყნისშიდა მოქმედებებისთვის.

აქ კი მივდივართ იმ საკითხთან, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებს და რა ფუნქციებს



აკისრებს ესა თუ ის ქვეყანა საკუთარ შეიარაღებულ ძალებს. საკუთარი სამხედრო პოლიტიკისთვის ინტერნაციონალური ხასიათის მიცემის მოსურნე ქვეყნისთვის აუცილებელია საერთაშორისო მისიებში მონაწილეობა. გარდა ამისა, ნატოს წევრობაზე ორიენტირებული ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია არამარტო ალიანსის ლიდერებთან პოლიტიკური მოლაპარაკებები, არამედ სამხედრო დონეზე ინტერაქცია, რაც ნატოს სტანდარტებთან დაახლოებას გაცილებით მალე შეუწყობს ხელს, ვიდრე ქალაქებში მოცემული დირექტივები.

და არის კიდევ ერთი საკითხი, რომელზეც რატომღაც ძალიან ცოტა ადამიანი ამხვილებს ყურადღებას საქართველოში. 2008 წლის აგვისტოში დემორალიზებული ქართული ჯარისთვის აუცილებელია თვითრწმენის დაბრუნება. საერთაშორისო მისიის ფარგლებში ჩატარებული ყოველი წარმატებული ოპერაცია კი მნიშვნელოვანი ნაბიჯია ჯარის მორალური რეაბილიტაციის პროცესში.

საკითხი სოციო-ეკონომიკურ ჭრილში რომ განვიხილოთ, ხშირად მოისმენთ არგუმენტს, რომ ქართველ ჯარისკაცთა დიდი ნაწილი სიხარულით ხვდება ავღანეთში გაგზავნის გადანაცვლებას, რაც ძირითადად განპირობებულია შედარებით მაღალი ანაზღაურებით. სახიფათო რეგიონში გაგზავნა დიდ გამართლებადაც კი ითვლება ჯარისკაცთა ნაწილში, რადგანაც მათთვის სიცოცხლის რისკის ფასად გამომუშავებული ფული ეკონომიკურ სიდუხჭირესთან გამკლავების ერთადერთ საშუალებას წარმოადგენს. ეს კი პირველ რიგში ქვეყანაში არსებული კატასტროფული სოციალური მდგომარეობის შედეგია. სწორედ მაშინ გამოჩნდება ქართველ ჯარისკაცთა რეალური განწყობა, როდესაც მათი მოტივაციის განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორი მშვიერი ოჯახების გამოკვება აღარ იქნება.

ასევე გასათვალისწინებელია ფსიქოლოგიური ფაქტორიც. „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდში პროპაგანდისტული მანქანა მძლავრად მუშაობდა ISAF-ის მისიაში მონაწილეობის არამარტო მოსახლეობაში, არამედ სამხედრო ნაწილებში

ში გაპიარებაზე. ქართველ ჯარისკაცთა შორის პრესტიჟულად ითვლება საერთაშორისო მისიაში მონაწილეობა, რაც ავღანეთში წამსვლელთა მოტივაციას ამაღლებდა. მაშინ, როცა მაგალითად ნატოს წევრ ნორვეგიაში, სადაც საერთაშორისო მისიაში მონაწილეობა ნებაყოფლობითია, ჯარისკაცებში საკუთარ ქვეყანაში სამსახურთან შედარებით არაპოპულარულია ამგვარ მისიებში მონაწილეობა და სამხედრო კარიერაში ხელისშემშლელი ფაქტორიც კი შეიძლება აღმოჩნდეს.

ხელისუფლებაში მოსულ „ქართულ ოცნებას“ ავღანეთის ქართულ მისიასთან დაკავშირებით საკმაოდ რთული მემკვიდრეობა დახვდა და რამდენიმე მიმართულებით მოუწევს მუშაობა მის გადასაწყვეტად. პირველ რიგში, მნიშვნელოვანია ყოველგვარი პროპაგანდისტული ტექნოლოგიების გამოყენების გარეშე მიენოდოს მოსახლეობას ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ISAF-ის საერთაშორისო მისიაში მონაწილეობა შედის საქართველოს ინტერესებში და დაუშვებელია ქართული კონტინგენტის ავღანეთიდან სრულად გამოწვევა მისიის ოფიციალურ დახურვამდე ერთი წლით ადრე.

გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ რაც უფრო დიდია კონტინგენტი, მით მეტია დანაკარგის მიღების ალბათობა და პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე, ამიტომაც მნიშვნელოვანია მისიაში მონაწილე სამხედრო შემადგენლობის შემცირება რამდენიმე ასეულ ჯარისკაცამდე. მით უმეტეს, არ არსებობს არავითარი აუცილებლობა იმისა, რომ საქართველო მისიაში 1600 ჯარისკაცით იყოს წარმოდგენილი. გარდა ამისა, აუცილებელია ევროპის პატარა ქვეყნების გამოცდილებაზე დაყრდნობით შემუშავდეს კანონმდებლობა, რომელიც განსაზღვრავს ქართველი სამხედროების საერთაშორისო მისიებში მონაწილეობის პირობებს, უფლებებს, ვალდებულებებს და ა.შ..

ასევე ახალი ხელისუფლების უმთავრესი ამოცანა უნდა გახდეს ჯარში სოციალური საკითხების მოგვარება, რათა ფინანსური ინტერესი არ წარმოადგენდეს ქართველი ჯარისკაცის საერთაშორისო მისიაში მონაწილეობის ძირითად მოტივაციას. **□**

**■** საკითხის პოლიტიკურ ჭრილში განხილვისას, ძირითადი ყურადღება უნდა ეთმობოდეს არა სამხედრო შენაერთების ავღანეთიდან გამოყვანა-არგამოყვანას, არამედ ქვეყნის საერთაშორისო როლის განსაზღვრას. თუკი საქართველოს მიზანია ადგილი დაიკავოს დემოკრატიულ სახელმწიფოებს შორის, დემოკრატიული ღირებულებები უნდა დაიცვას არა მარტო ქვეყნის შიგნით, არამედ ქვეყნის გარეთაც.

# იოტა iOS-ისთვის



ლიბერალი - ახლა უკვე თქვენს iPhone, iPad და iPod Touch-ზე

იპითხე ყველაზე!

იპითხე კომფორტულად!

[www.lit.ge](http://www.lit.ge)

იოტა iOS-ისთვის ხაზგაღებულია გადღვეთ მარტივად იპითხეთ [lit.ge](http://lit.ge)-ს ნიშნები და პერიოდულად თქვენს iPhone, iPad და iPod Touch-ზე

აპლიკაციის გადმოტანებად, თქვენი მონეტარიზაციისთვის iTunes-ზე მოძებნეთ „IOTA READER“



# ჯახისხანსაბი ომის შაბდაბ

საქართველო NATO-ს ISAF-ის სამშვიდობო მისიაში 2009 წელს ჩაერთო, 2012 წლიდან კი ავღანეთში ქართული კონტინგენტის რაოდენობა გაორმაგდა. დღეისთვის ავღანეთში 1600-მდე ქართველი სამხედრო მსახურობს. მისიის დასრულების შემდეგ მათი კონტრაქტი ჯარისკაცების ფსიქორეაბილიტაციას არ ითვალისწინებს.

გიორგი ჭეიშვილი



ქართველი ჯარისკაცები ავღანეთში, 2012

ფოტო: ბიორი ბიზა



13 მაისს, 16:17 წუთზე ავღანეთში ჰელმანდის პროვინციაში განთავსებულ ქართულ ბაზაზე დღემდე ყველაზე მასშტაბური ტერორისტული თავდასხმა მოხდა. თავდასხმის შედეგად 3 ქართველი სამხედრო დაიღუპა, 27 ჯარისკაცი კი დაშავდა.

„თვითმკვლელმა ტერორისტმა და მემამბოხეთა ჯგუფმა იერიში მიიტანა 42-ე ბატალიონის ბაზაზე... მოცემული დროისთვის ცნობილია შემდეგი – ბაზაზე განხორციელდა მემამბოხეთა კომბინირებული თავდასხმა თვითმკვლელი ტერორისტის მიერ სატვირთო მანქანაზე დამონტაჟებული ასაფეთქებელი მონყობილობის გამოყენებით. ქართველმა სამხედროებმა თავდასხმა მოიგერიეს, ყველა ტერორისტი ადგილზე გაანადგურეს... დიდი მწუხარებით მიინდა აღვნიშნო, რომ თავდასხმას სამი ქართველი სამხედრო მოსამსახურე შეენირა: კაპრალი ალექსანდრე კვინინაძე, უმცროსი სერჟანტი – ზვიად დავითაძე და კაპრალი - ვლადიმერ შანავა... ამ ეტაპზე არსებული ფაქტობრივი მონაცემებით, გვყავს დაჭრილები და მსუბუქად დაშავებულები... დაჭრილებს ამ ეტაპზე უტარდებათ სამედიცინო დახმარება, მათ რაოდენობას ამ ეტაპზე არ დავაზუსტებ“, - განაცხადა 13 მაისს საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე საქართველოს თავდაცვის მინისტრმა, ირაკლი ალასანიამ.

14 მაისს ცნობილი გახდა, რომ ქართულ ბაზაზე მიტანილი იერიშის შედეგად 27 სამხედრო დაშავდა, 10 მათგანი კი ტერორისტული აქტის მეორე დღესვე შეუდგა მოვალეობის შესრულებას.

დაღუპული ქართველი სამხედროები სამშობლოში 16 მაისს გადმოასვენეს, ამავე საღამოს მათი სამოქალაქო პანაშვიდი ქაშუეთის ეკლესიაში გაიმართა. 16 მაისი ქვეყანაში გლოვის დღედ გამოცხადდა.

საქართველოს შეიარაღებული ძალების IV ქვეითი ბრიგადის 42-ე ბატალიონი ავღანეთში 2013 წლის 22 მარტს გაემგზავრა, 15 აპრილს კი ISAF-ის მისიაში ჩაერთო და სრულად გადაიბარა სამოქმედო არეალი.

სამშვიდობო მისიაში ჩართვიდან ერთი თვის შემდეგ, მაშინ, როდესაც სამშობლოში დაბრუნებამდე 4 თვეზე მეტი იყო დარჩენილი,

42-ე ბატალიონის სამხედროებმა მძიმე ფიზიკური და ფსიქოლოგიური დარტყმა მიიღეს.

ISAF-ის სამშვიდობო მისიაში მონაწილე ქართველ სამხედროებს არაერთი სტრესის გადატანა მოუხდათ. სტრესი და დაძაბულობა ჰელმანდის პროვინციაში დისლოცირებული ქართველი ჯარისკაცების ყოველდღიურობაა.

VII კონტინგენტის მე-12-ე ბატალიონის მეთაური, მაიორი კობა ცინდელიანი, რომელიც ავღანეთიდან 5 მაისს დაბრუნდა ჰყვება, რომ ჯარისკაცები სტრესს ძირითადად აფეთქებების, თანამებრძოლთა დაჭრისა და ტრაგიკული შემთხვევების დროს აწყდებიან – „ასეთი შემთხვევებისას, პირველ ეტაპზე ყოველ დათრგუნული იყო. როცა გაიგებდნენ, რომ ვთქვამთ, დაჭრილი სამხედრო კარგად გრძნობდა თავს, მდგომარეობა უკეთესობისკენ იცვლებოდა. ჯარისკაცები უფრო ფრთხილდებნენ, მეტად აკვირდებოდნენ ყველაფერს. ვისაც სტრესი აქვს გადატანილი, სხვა ადამიანი ხდება. ასეთ დროს ადამიანი იცვლება, ხანდახან საკუთარ თავში იკეტება კიდევ, ნაკლებს საუბრობს, უფრო სერიოზულდება და მეტად დაკვირვებულია მოქმედებაში.“

პოსტტრავმული სტრესული აშლილობისა და საბრძოლო მოქმედებების დროს მიღებული ფსიქოლოგიური ტრავმების შესახებ „ნამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური სამედიცინო რეაბილიტაციის საქართველოს ცენტრის“ სამედიცინო დირექტორიც საუბრობს. ზურაბ ბებერაშვილის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ სამშვიდობო მისიაში ჯარისკაცი თავისი ნებით ერთვება და ვაცნობიერებული აქვს, რომ იქ საბრძოლო მოქმედებებში მოუწევს მონაწილეობა, რასაც შეიძლება არაერთი ხიფათი და ტრაგედია ახლდეს თან, ის მაინც დარტყმის ქვეშაა. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, შესაძლოა, სხვადასხვა სახის პრობლემები ჰქონდეს, რასაც კომპლექსური რეაბილიტაცია სჭირდება.

„ომის ქარ-ცეცხლში მოყოლილი ადამიანები ექსტრემალურ სტრესს იღებენ. ყველას ჰგონია – ეს მას არ დაემართება, თუმცა, რასაც რეალურად აწყდებიან, როგორც წესი, ბევრად უარესია, ვიდრე ისინი მოელოდნენ. ტრავმული სტრესი ადამიანის გამკლავების ბუნებრივ მექანიზმებს ალემატება, მისგან არავინაა დაზღ-

■ „ომის ქარცეცხლში მოყოლილი ადამიანები ექსტრემალურ სტრესს იღებენ. ყველას ჰგონია – ეს მას არ დაემართება, თუმცა რასაც რეალურად აწყდებიან, როგორც წესი, ბევრად უარესია, ვიდრე ისინი მოელოდნენ. ტრავმული სტრესი ადამიანის გამკლავების ბუნებრივ მექანიზმებს ალემატება, მისგან არავინაა დაზღვეული“.

ვეული. ადამიანს ბუნებრივი წინააღმდეგობის უნარი აქვს – კონკრეტული ზიანი ორგანიზმში მის საწინააღმდეგო მობილიზებას ახდენს. ამ სტრესთან გამკლავების სხვადასხვა მექანიზმი არსებობს, მაგალითად – კედელს, ან ჯავშანს ამოფარება, მაგრამ რეალურად ადამიანს ეს არ შეეძლება, ეს მისი გრძნობების გაუხეშებას იწვევს. საქართველოში ყველაზე ტრავმირებული ადამიანები გვიან გამოდიან კონტაქტზე, მაშინ, როდესაც უცხოეთში რეაბილიტაციის კურსის გავლა სავალდებულოა“, – ამბობს ზურაბ ბებერაშვილი.

ჯარისკაცებისთვის აღდგენით პროცესს აუცილებლად მიიჩნევს სამხედრო-ანალიტიკური კვლევების ცენტრ „ჰერის“ წარმომადგენელი გიორგი თავდგირიძე. მისი თქმით, სამხედროს, რომელიც მუდმივად რისკ-ფაქტორის და სტრესის ქვეშ არის, მას ეს პრობლემად უბრუნდება, ხოლო აუცილებელი აღდგენითი პროცესი – არა ინდივიდუალური დასვენებით, არამედ კონკრეტული მეთოდისა და დასავლეთის ქვეყნების გამოცდილების გაზიარებით უნდა მიმდინარეობდეს.

„სამხედრო სამსახური სტრესულადაა მიჩნეული, ანუ სამსახურებრივი მოვალეობა, ყოველდღიურიც კი, მუშაობის განსაკუთრებულ პირობად ითვლება, რომლის თანმდევი გარკვეული სტრესები და სტრესი ეხება არა მხოლოდ რისკებს, არამედ ყოველდღიურობას. ჯარისკაცების მდგომარეობის კომპლექსური შესწავლა აუცილებელია. გარკვეულწილად, ქვედანაყოფი უნდა გადიოდეს რეაბილიტაციის სტანდარტულ პროცედურას, მაგრამ იმ დაზარალებულთა აღდგენითი პროცესისთვის, რომლებსაც ფსიქიური აშლილობა ახასიათებთ, ინდივიდუალური ზომები უნდა იყოს მიღებული. ჩვენს ზოგიერთ ქვედანაყოფს და მრავალ ჯარისკაცს ხშირად უწევს მისიებში მონაწილეობა, მაშინ როდესაც გერმანელი სამხედროს მისიში ხელახალი ჩართვა რეაბილიტაციისა და მოსამზადებელი პერიოდის – 18 თვის შემდეგაა შესაძლებელი. ჩვენი ჯარისკაცები მისიში შესაძლოა 6 თვეში ერთხელ აღმოჩნდნენ, რაც რეაბილიტაციის კურსის გარეშე ძალიან მძიმეა – მეტია შეცდომების ალბათობა; გამოცდილების დაგროვების მიუხედავად, მას არც ორგანიზ-

მი, არც ტვინი, არც კუნთები არ აძლევს იმ შეცდომების თავიდან აცილების საშუალებას, რაც, წესით, არ უნდა დაეშვა. რამდენიმე შემთხვევა ასეთი შეცდომით იყო გამოწვეული“, – აღნიშნავს გიორგი თავდგირიძე.

სამხედრო-ანალიტიკური კვლევების ცენტრ „ჰერის“ წარმომადგენელი ასევე ამბობს, რომ ქართველ სამხედროებთან გაფორმებული კონტრაქტი მათ ფსიქორეაბილიტაციას არ ითვალისწინებს, ხოლო თავად ეს კონტრაქტი არასრულყოფილია, მაშინ, როდესაც გერმანულ, ფრანგულ ან ამერიკულ არმიაში კონტრაქტის გაფორმება რიტუალია, დოკუმენტი ყველაფერს მოიცავს და აქედანვე ხდება აპელირება ნორმატიულ აქტებზე – „საკონტრაქტო სისტემა კონტრაქტშივე უნდა ითვალისწინებდეს გარკვეულ პირობებს, რათა ერთი მხრივ, ადამიანის მოტივაცია იყოს მაღალი, რაც შემდგომ მის ფსიქოლოგიურ მდგომარეობას უწყობს ხელს, მეორე მხრივ კი – ყველა სავარაუდო ალბათობა და შემთხვევითობა უნდა იყოს გათვალისწინებული, რათა აღარ წარმოიშვას დავა და სუბიექტური ურთიერთობები საკონტრაქტო პირსა და შეიარაღებულ ძალებს შორის“.

„რადიო თავისუფლების“ სამხედრო მიმომხილველი კობა ლიკლიკაძე 13 მაისს ქართულ სამხედრო ბაზაზე მომხდარ თავდასხმას იხსენებს. მისი თქმით, როდესაც ერთი შეტევის შედეგად 20-ზე მეტი ადამიანი დაიჭრა, 3 კი დაიღუპა, ამ თავდასხმის გამო უამრავი ჯარისკაცი მძიმე ფსიქოლოგიურ სტრესს მიიღებდა, მათ კი შემდგომში ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია დასჭირდებოდა.

„საზოგადოება ნაკლებად ფიქრობს ავღანეთში, თუ მანამდე ერაყში მყოფ ჯარისკაცებზე. არსებობს წარმოდგენა, თითქოს ეს მივლინებაა, არადა ეს რთული საბრძოლო დავალებაა, ყოველდღიურად რთულ და ძალიან სახიფათო ამოცანებთან დაკავშირებული საქმე. თავისთავად ცხადია, რომ ჯარისკაცს ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია დასჭირდება. 3-თვიანი მოსამზადებელი პერიოდი სამხედროს გარკვეულწილად აგუებს იმ ვითარებას, რომელშიც მოუწევს ყოფნა, მაგრამ ის, რაც ბრძოლის ველზე ხდება – სხვაა. კონტინგენტის სიდიდით, ავღანეთში

■ კონტინგენტის სიდიდით, ავღანეთში საქართველო მეოთხე ადგილზეა: აშშ-ს, ბრიტანეთისა და გერმანიის შემდეგ. ეს დიდი რესურსია. ეს ადამიანები მაქსიმალურად ჯანსაღები და სრულფასოვნები უნდა დავიბრუნოთ იმისთვის, რომ შემდგომში მათ განწირულის სინდრომი არ ჰქონდეთ“.


საქართველო მეოთხე ადგილზეა: აშშ-ს, ბრიტანეთისა და გერმანიის შემდეგ. ეს დიდი რესურსია. ეს ადამიანები მაქსიმალურად ჯანსაღები და სრულფასოვნები უნდა დავიბრუნოთ იმისთვის, რომ შემდგომში მათ განწირულის სინდრომი არ ჰქონდეთ“, – ამბობს კობა ლიკლიკაძე.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, კონტრაქტი სამხედროების ფსიქორეაბილიტაციას არ ითვალისწინებს.

„სამხედროების ფსიქორეაბილიტაციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს და თავდაცვის სამინისტრო აქტიურად მუშაობს ამ მიმართულებით. სამინისტრო იზიარებს ჩვენი მოკავშირეების გამოცდილებას. ამ ეტაპზე ინტენსიურად მიმდინარეობს თანამშრომლობა ამერიკის შეერთებულ შტატებთან. პარტნიორები გვეხმარებიან არა მხოლოდ ფსიქორეაბილიტაციის მიმართულებით, არამედ ჩვენი სამხედრო მოსამსახურეების სრული რეაბილიტაციის პროცესშიც. ამ მიზნით, თბილისში სულ მალე რეაბილიტაციის ცენტრი შეიქმნება, რომელიც ქართველ ჯარისკაცებს ნატოს

სტანდარტებით მოემსახურება.“

გიორგი თავდგირიძე მიიჩნევს, რომ ჯარისკაცების რეაბილიტაციის საკითხი სახელმწიფომ თავის თავზე უნდა აიღოს. მისი თქმით, თავდაცვის უწყება ვერ გრძნობს იმის აუცილებლობას, რომ შექმნას გარკვეული ჯგუფი, რომელსაც არ ექნება ყოველდღიური ფუნქციური მოვალებები და იმუშავებს ცალკეულ მიმართულებებსა და პრობლემეტიკაზე. ასევე, თავდაცვის უწყებას უჭირს დახარჯოს ფული, ის ჩაკეტილია უწყებრივ პრობლემებზე – „არ შეიძლება, ვთქვათ, 5 ათასი ჯარისკაცი გყავდეს და მისი უზრუნველყოფის საშუალება არ გქონდეს. ამ შემთხვევაში ყველაფერი ფიქცია და ტყუილად გადაყრილი ფულია“.

ISAF-ის მისია 2014 წელს სრულდება. 2009 წლიდან 4 წლის განმავლობაში, საქართველომ დღემდე 22 სამხედრო დაკარგა. ავღანეთში დღეისთვის 1600-მდე ქართველი ჯარისკაცი მსახურობს. სხვადასხვა მისაში საბრძოლო მოქმედებებისას მიღებული სტრესი და ფარული ტრავმები კი უკვალოდ არ ქრება. 

RadioCommerciant

marketing@commerciant.ge  
+995 32 2505 955



ბიზნესის პერსონალური რადიო

Commerciant.ge



# პასპორტიზაციის დაკავშირებული სკანდალის ახალ ტალღას ის მოყვა, რომ აფხაზეთის ხელისუფლებამ ორიოდ კვირის წინ გალის რაიონის მაცხოვრებლებისთვის აფხაზეთის პასპორტების გაცემა შეაჩერა.

## დემის პოლანდოვი

უკვე მერამდენედ, აფხაზეთმა ოპოზიციამ ხელისუფლება დამყოლი ელექტორალური მასის შექმნის სურვილში დაადანაშაულა, მასისა, რომელიც ხელისუფლების გამარჯვებას ნებისმიერ არჩევნებში უზრუნველყოფს. თუმცა ამჯერად სკანდალს განსაკუთრებული სიმძაფრე უშიშროების საბჭოს მეთაურის, სტანისლავ ლაკობას გამოსვლამ შესძინა, რომელმაც მიუკიბ-მოუკიბავად განაცხადა, რომ აფხაზეთის უსაფრთხოებას აფხაზეთ-პასპორტიანი გალელი ქართველები საფრთხეს შეუქმნიან. ლაკობამ ეს განცხადება პარლამენტის ტრიბუნლიდან გააკეთა, რის შემდეგაც თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ალექსანდრე ანქვაბამ პასპორტიზაციის პროცესი სასწრაფოდ შეაჩერებინა და მისი კანონიერების შეფასება ამისთვის საგანგებოდ შექმნილ საპარლამენტო კომისიას მიანდო, რომელსაც ოპოზიციონერი ასლან კობახია უდგას სათავეში.

■ აფხაზეთის პასპორტის აღებას გალელთა ცხოვრება აიძულებს და არა ამის დიდი სურვილი. მაგალითად, უპასპორტოდ შეუძლებელია უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ოპერაციებში მონაწილეობა, მემკვიდრეობის გაფორმება და ასე შემდეგ. ამას გარდა, აფხაზეთის პასპორტის ქონა სასაზღვრო პუნქტების გავლას აადვილებს.

სკანდალის პიკი იყო, როცა ერთ-ერთმა ჩემმა ქართველმა ფეისბუქელმა მეგობარმა გალელისთვის პასპორტების გაცემის შეჩერებას აპარტიდული აქტი უწოდა. ცოტა არ იყოს, გაკვირვებული დავრჩი და ვთხოვე განემარტა, კერძოდ რა მიაჩნდა ამ გადაწყვეტილებაში აპარტიდულად? საქმე ისაა, რომ გალის რაიონში დანებებულმა პასპორტიზაციამ მანამდე თბილისში დიამეტრულად საპირისპირო რეაქცია გამოიწვია. მაშინ საქართველოს ხელისუფლებამ განაცხადა, რომ გალში „იძულებითი პასპორტიზაცია“ მიმდინარეობს, ახლა კი მისი შეწყვეტის გამო სინაწულს გამოთქვამს. მეგობრის პასუხმა ცხადყო, რომ მას მაინცდამაინც კარგად არ ესმის, როგორი პროცედურით ხდება აფხა-

ზეთში პასპორტების გაცემა. გალის რაიონის მოსახლეები აფხაზეთის მოქალაქეობას ხომ განსაკუთრებული, შეიძლება ითქვას, გამარტივებული პირობებით იღებენ.

## რაში მდგომარეობს პირობათა განსაპირპირება

აფხაზეთი კანონმდებლობის მიხედვით, აფხაზეთის მოქალაქეობის უფლება ყველა ეთიკურ აფხაზს (აბაზას) აქვს, ხოლო სხვა ეთნიკური ჯგუფების (რუსები, სომხები, ბერძნები და ა.შ.) წარმომადგენლები იძულებული არიან, ნატურალიზაციის ხანგრძლივი პროცესი გაიარონ, რომელიც გულისხმობს არა მხოლოდ აფხაზეთთან ისტორიული კავშირის ქონას, არამედ მის მუდმივ მკვიდრობასაც, საპრეზიდენტო კომისიის გავლას და ასე შემდეგ. მაგრამ რაც უნდა უცნაურად ჩანდეს, ეს სქემა გალის რაიონის (მის საბჭოეთის დროინდელ საზღვრებში – ახლა მასში შედის როგორც საკუთრივ გალის რაიონი, ისე, ნანილობრივ, ოჩამჩირის და ტყვარჩელის რაიონები) მცხოვრებ ეთნიკურ ქართველებს არ ეხებათ.

არც იმის თქმა იქნებოდა სწორი, რომ ქართველებისთვის სასათბურე პირობებია შექმნილი – ესეც ტყუილი იქნება. გალელეებს მათი „სანდობის“ შემონახვისას ხშირად არაერთი პრობლემა ექმნებოდათ. ესეც რომ არა, მოქალაქეობის უფლება მხოლოდ იმ პირებს აქვთ, რომლებსაც აფხაზეთის ტერიტორიაზე 1999 წლის 12 ოქტომბრის შემდეგ მუდმივად სულ მცირე 5 წელი მაინც უცხოვრიათ. თუმცა ფაქტობრივი მდგომარეობა ისეთია, რომ ქართველებს სხვებთან შედარებით უკეთესი პირობები შეექმნათ. თუ სა-



ფოტო: ოლუსა ბაჩინიანი

პრეზიდენტო კომისიის გავლის გზით აფხაზეთის მოქალაქეობას წელიწადში მხოლოდ 400 სული იღებს (ლაპარაკია არააფხაზი და არაქართველი ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებზე), ბოლო 5 წლის განმავლობაში ხსენებულ კომიტეტს დაქვემდებარებულმა სხვა კომიტეტებმა მოქალაქეობა უკვე დაახლოებით 30 000 ქართველს მიანიჭეს.

**შალტიერნატივო პასპორტი**

გაღებების პასპორტიზაციასთან დაკავშირებული განსაკუთრებული მომენტი მათ ნამდვილ მოქალაქეობაში მდგომარეობს. აფხაზეთში ყველამ იცის, რომ მათი დიდი ნაწილი საქართველოს მოქალაქეა. არც ისაა საიდუმლო, რომ საქართველოს მოქალაქეობაზე უარის თქმის წერილობითი განცხადება, რომლის წარდგენაც გაღებებს აფხაზეთის მოქალაქეობის მოთხოვნისას ესაჭიროებათ (პრაქტიკა აჩვენებს, რომ ეს ასე ყოველთვის არ ხდება, რაც, ისევ და ისევ, მათი პასპორტიზაციის პროცესის განსაკუთრებულობაზე მიუთითებს), სულაც არ ნიშნავს, რომ

ადამიანები რეალურად წინა მოქალაქეობაზე უარს ამბობენ. აფხაზეთის პასპორტის აღებას გაღებებს ცხოვრება აიძულებთ და არა ამის დიდი სურვილი. მაგალითად, უპასპორტოდ შეუძლებელია უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ ოპერაციებში მონაწილეობა, მემკვიდრეობის გაფორმება და ასე შემდეგ. ამას გარდა, აფხაზეთის პასპორტის ქონა სასაზღვრო პუნქტების გავლას აადვილებს.

სამი წლის წინ, როცა გაღებების პასპორტიზაციის თემა ძალზე აქტუალური იყო, ამ პრობლემაზე წინა მონვევის დეპუტატ გურამ გუმბას ვესაუბრე. სწორედ მაშინ, აფხაზეთის პარლამენტი უცხო ქვეყნების მოქალაქეებთან დაკავშირებულ კანონპროექტს განიხილავდა, რომელიც აფხაზეთში მუდმივად ცხოვრების უფლების შესახებ გარკვეულ პუნქტებს შეიცავდა. ამ უფლების კონტექსტში გაღებებზე რომ საუბრობდა, გუმბამ მითხრა: „მათ არ უნდა დასჭირდეთ დამალვა, რომ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეები არიან. თუკი საქართველოს მოქალაქეობა

ურჩევნიათ, მაშინ აფხაზეთში მუდმივად ცხოვრების უფლებას მიიღებენ.“

მართლაც, მუდმივად ცხოვრების უფლება ყველა სხვა მოქალაქის უფლებებთან გათანაბრებას გულისხმობს, არჩევნებში მონაწილეობისა და არჩევნებში საკუთარი კანდიდატურის წარდგენის უფლების გამოკლებით. თუმცა, დღეს ზემოთნახსენები კანონის მიღებიდან სამი წლის შემდეგ, მუდმივად ცხოვრების უფლებას ლამის ყველა იღებს, გალელეების გარდა. მეტიც, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ მათ აფხაზეთის მოქალაქეობის მიღების გარდა შეგნებულად არ დაუტოვეს ნატურალიზაციის სხვაგვარი არჩევანი. გასულ კვირას, ოტობაიაში და ნაბაკევიში გასაშვებ პუნქტებს რომ ხსნიდნენ, აფხაზი მოხელეები პირდაპირ აცხადებდნენ: „სხვა როგორც გენებოთ, მაგრამ პასპორტის აღება აუცილებელია.“ და ეს ხდებოდა პასპორტიზაციის შეჩერებიდან ორი დღის შემდეგ!


### ვის აძლევს ეს ხელს?

პასუხი კითხვაზე, თუ რატომ შეიქმნა გამოცალკევებული სქემა გალელეებისთვის, ისეთი მარტივი არაა, როგორც შეიძლება ჩანდეს. ახლა აფხაზეთში ძალზე აქტიურად განიხილება გალის რაიონის მკვიდრთა „ელექტორალური ფასეულობა“ – არის საუბრები, თითქოს ანქვას გალელეებისთვის პასპორტების დარიგების ბრძანება გაეცეს, რათა მომდევნო საპრეზიდენტო არჩევნებში მათი ხმები დაისაკუთროს. თუმცა მე ამასთან დაკავშირებით გარკვეული ეჭვები მიპყრობს. პასპორტიზაციის ამგვარი პროცესი, რომელიც აფხაზურ საზოგადოებაში უკიდურესად ნეგატიურად აღიქმება, სავარაუდოდ კანდიდატს უფრო მეტ ხმას დააკარგვინებს, ვიდრე შესძენს. შეუძლებელია, რომ ეს ანქვას არ ესმოდეს. სიტუაცია რომ ასეთი მარტივი არაა, ამაზე სტანისლავ ლაკობას მოქმედებებიც მიუთითებს, რომელიც უკვე მეორეჯერ აყენებს რისკის ქვეშ თავის მალალ თანამდებობას, როცა პასპორტიზაციის შეჩერების მოთხოვნით გამოდის. ამგვარი პასპორტიზაცია, მისი აზრით, აფხაზეთს „გაქართველებით“ ემუქრება. პირველად მან ეს 2010 წელს განაცხადა, როცა ხელისუფლებამ

ქართველებისთვის მოქალაქეობის მინიჭების გამარტივება საკანონმდებლო დონეზე სცადა. მაშინ ამ მცდელობებს მასობრივი საპროტესტო აქციები მოჰყვა.

თუმცა მოცემულობის შეცვლას ვერც ამ საპროტესტო ტალღამ მიიღწია – პასპორტების გაცემის პროცესი მერეც გრძელდებოდა. სწორედ ამის გამო ვიხრები ვარაუდისკენ, რომ აფხაზეთში არის პროცესები, რომლებზეც გაგლენას ანქვაბიც კი ვერ ახდენს. ყოველ შემთხვევაში, თუ სამი წლის შემდეგ აფხაზური ოპოზიცია გალელეების პასპორტიზაციის შეჩერებას ხელახლა მოითხოვს, სტანისლავ ლაკობა კი საკუთარ უფლებამოსილებაზე უარს განაცხადებს, მაშინ მე უკვე ეჭვის ნასახიც კი აღარ დამრჩება: მაშინ ცხადი გახდება, რომ ამგვარი პასპორტიზაცია რეგიონში რუსეთის რალაც გლობალური გეგმის ნაწილია, და არა ალექსანდრე ანქვაბის მავნე ნება-სურვილი. ცალსახად იმის თქმა ჭირს, თუ რაში ჭირდება ეს რუსეთს, მაგრამ ერთის თქმა კი შეუძლოდალად შემიძლია – სხვა მოთამაშე, რომელსაც აფხაზეთში მიმდინარე პროცესებზე ასე ზემოქმედება შეუძლია, არ არსებობს.

აქვე დავძენ, რომ ბევრი აფხაზი ექსპერტი ჩემს მოსაზრებას არ ეთანხმება. თუმცა გარკვეულწილად იდეალიზებული წარმოდგენა რუსეთის მოქმედებების შესახებ მათ ზოგადად ახასიათებს.

ამ დროს გალელეები ქართული მოსახლეობის მიმართ ამ „ჰიპოთეტური“ რუსული პოლიტიკის წყალობით გარკვეულ დივიდენდებსაც კი იღებენ. გალის რაიონის ქვედა ზონის ახალი გასაშვები პუნქტები, რომლებიც რუსული ფულითაა აშენებული და რომელთა გავლის უფლებაც, სხვათა შორის, მხოლოდ გალის რაიონში ჩაწერილ მოქალაქეებს აქვთ, ამის კარგი თვალსაჩინოებაა. 



სტატია მომზადებულია ჰაინრიხ ბოლის ფონდის მხარდაჭერით. ამ პუბლიკაციაში გამოთქმული შეხედულებები და მოსაზრებები არ არის აუცილებელი, გამოხატავდეს ჰაინრიხ ბოლის ფონდის შეხედულებებს.

**■ აფხაზეთში არის პროცესები, რომლებზეც გაგლენას ანქვაბიც კი ვერ ახდენს. ყოველ შემთხვევაში, თუ სამი წლის შემდეგ აფხაზური ოპოზიცია გალელეების პასპორტიზაციის შეჩერებას ხელახლა მოითხოვს, სტანისლავ ლაკობა კი საკუთარ უფლებამოსილებაზე უარს განაცხადებს, მაშინ მე უკვე ეჭვის ნასახიც კი აღარ დამრჩება: მაშინ ცხადი გახდება, რომ ამგვარი პასპორტიზაცია რეგიონში რუსეთის რალაც გლობალური გეგმის ნაწილია, და არა ალექსანდრე ანქვაბის მავნე ნება-სურვილი.**





**[WWW.LIBERALI.GE](http://WWW.LIBERALI.GE)**





ფოტო: შირინა ბოლუა

17 მაისის საპროტესტო აქცია, თბილისი, 2013

ახახი დროები და ახალი

## "სამშობლო ბვიზობს!"

17 მაისს ჰომობოფობიის წინააღმდეგ დაგეგმილი აქცია სასულიერო პირებმა და მრევლმა ძალადობრივი გზით ჩაშალა. აგრესიულად განწყობილი აქციის მონაწილეები, რომელთა რიგებში მრავლად იყვნენ ახალგაზრდები, ქუჩა-ქუჩა დასდევდნენ უმცირესობების წევრებს. აქციაში ახალგაზრდების მონაწილეობა საზოგადოების ნაწილს გაუკვირდა, რადგან ეს ის თაობაა, რომელიც განსხვავებულ პირობებში გაიზარდა და ღირებულებების ცვლა, პირველ რიგში, ახალგაზრდებზე უნდა ასახულიყო.

ლიკა ზაკაშვილი

„ძალადობის მომხრე არ ვარ, მაგრამ ის, რაც 17 მაისს მოხდა, ჩემი აზრით, ასეც უნდა მომხდარიყო. პატრიარქმა წინა დღით უმცირესობების წევრებს მოუწოდა, რომ არ გაემართათ რუსთაველზე გვი ალღუმი, თუმცა პატრიარქის მოწოდება ყურად არ იღეს. ამ აქციის წინააღმდეგი იყო ეკლესია და ხალხის უმრავლესობა. გვი პარადი მართლმადიდებლურ ქვეყანაში არ უნდა იმართებოდეს. ჰომოსექსუალებს არსებობის უფლებას არავინ ართმევს. იყვნენ თავისთვის, წყნარად და ცალკე. გვი პარადის მოწყობა დიდი დანაშაულია. ჩვენ გვაქვს რელიგია, რომელიც ჰომოსექსუალიზმს კატეგორიულად კრძალავს და ჩვენ უნდა დავემორჩილოთ მას და არ უნდა გვეკონდეს ამ საკითხზე განსხვავებული მოსაზრებები. ქართული ვაჟკაცობა, რომელიც ოდითგანვე მოგვედევს, არ უნდა დაიკარგოს“, – ეს აზრი პირველი საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლეს ქეთევან ოშიაძეს ეკუთვნის, რომელსაც 19 მაისს პირველი საჯარო სკოლის ერთ-ერთ საკლასო ოთახში შეეხვედი.

უფროსკლასელებთან შეხვედრის ნებართვა წინასწარ სკოლის ადმინისტრაციისგან ვითხოვე და იმედი მექონდა, რომ სასწავლო საათების დასრულების შემდეგ, კლასში ორივე სექსის წარმომადგენლები თანაბრად იქნებოდნენ, თუმცა კლასში შესულს მხოლოდ გოგონები დამხვდნენ. ბიჭებს ყურნალისტებთან ამ თემაზე საუბარის სურვილი არ ჰქონიათ და მეტიც, როგორც თანაკლასელმა გოგონებმა განმიმარტეს, ისინი 17 მაისს რუსთაველზე აქციის გამართვამ ძალიან შეურაცხყო, რადგან როგორც ჩანს, ისინიც თანატოლი გოგონების მსგავსად მიიჩნევენ, რომ ოდითგანვე გამოყოფილი „ვაჟკაცობა ქართველებმა არ უნდა დაკარგონ“ და მართლმადიდებლურ ქვეყანაში მსგავსი აქციების მოწყობა მიუღებელია.

გოგონებთან შეხვედრა აქტიურად, ხმაურით დისკუსიის ფონზე წარიმართა. თანაკლასელები ძირითადად იზიარებდნენ ერთმანეთის მოსაზრებებს და მიაჩნდათ, რომ კონტრაქცია, რომელიც ძალადობით და პუშკინის სკვერში დაგეგმილი აქციის დარბევით დასრულდა, უნდა გამართულიყო, თუმცა ყველა ცალსახად გამოხატა ძალადობას.

თანატოლებისგან განსხვავებულად ფიქრო-

ბს თამუნა ბრეგვაძე, რომელიც დროდადრო თანაკლასელების კომენტარებს რეპლიკებით ეწინააღმდეგებოდა.

„ჩემი აზრით, ეს ადამიანები ნორმალურები არიან. აქვთ უფლება შეარჩიონ თავიანთი მეორე ნახევარი და შიშის გარეშე გამოვიდნენ ქუჩაში. განსხვავებულობის გამო, ადამიანი არ უნდა ჩაქოლო. განსხვავებულობის გამო, ადამიანებს სახლში გამოკეტვისკენ არ უნდა მოვუწოდოთ. ჩვენი რელიგიიდან გამომდინარე, პატივი უნდა ვცეთ ყველას“, – მითხრა თამუნა ბრეგვაძემ.

თაკო აბაშიძე, აქციამდე ორი დღით ადრე, კონტრაქციის მონაწილეთა სულისკვეთებას იზიარებდა და ოჯახთან ერთად პროტესტის გამოსახატავად ქუჩაში გასვლას გეგმავდა, თუმცა როგორც თავად მითხრა, 16 მაისს აქციაზე გასვლა ინტერნეტში ერთ-ერთი პუბლიკაციის წაკითხვის შემდეგ გადაიფიქრა.

„ინტერნეტში ერთ-ერთ ჰომოსექსუალთან ინტერვიუ წავიკითხე, სადაც ის ამბობდა, რომ 17 მაისს საკუთარი უფლებების დასაცავად გამოდიოდა და საზოგადოებისგან არაძალადობრივ დამოკიდებულებას ითხოვდა. ამის შემდეგ წასვლა გადავიფიქრე, რადგან მიმაჩნია, რომ ნებისმიერ ადამიანს აქვს უფლება გამოვიდეს და მოითხოვოს საკუთარი უფლებების დაცვა. მათ არ უნდათ, რომ იჩაგრებოდნენ, სახელმწიფო ყველა მოქალაქის უფლებას თანაბრად უნდა იცავდეს, მიუხედავად მათი განსხვავებულობისა“, – ამბობს თაკო აბაშიძე.

17 მაისს აქციაზე ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები მართლაც ბევრნი იყვნენ. ისინი განსაკუთრებული აგრესიით და ენერგიით გამოირჩეოდნენ. ქუჩა-ქუჩა დარბოდნენ და როგორც ერთ-ერთმა აქციის მონაწილე ბიჭმა მითხრა, „პირადარასტებს ეძებდნენ“. ის ბიჭი ჭანტურიას ქუჩაზე გაეჩერე, სავარაუდოდ, ბოლო ზარიდან გამოსული მე-12 კლასელი იყო, წარწერებით შეღებილი მისური კისერზე ჰქონდა მოგდებული. კითხვაზე, ვის მისდევ-მეთქი, მიპასუხა, „პიდარასტებსო“ და ადგილიდან მოწყდა.

17 მაისს აქციაში ახალგაზრდების მონაწილეობამ ბევრი კითხვა გააჩინა მათ სამოქალაქო ღირებულებებსა და ტოლერანტობაზე. როგორც სოციოლოგები განმარტავენ, სხვა

■ „თაობები და ღირებულებების“ კვლევა საზოგადოებრივი პოლიტიკის ცენტრმა 2011 წლის 21 ნოემბრიდან 2011 წლის 19 დეკემბრამდე თბილისში და საქართველოს ყველა რაიონში ჩაატარა. გამოიკითხნენ სამი თაობის, 18-24, 40-50 და 60-70 წლის 1058 ადამიანი. გამოკითხულთა უმრავლესობა (93.4%) მართლმადიდებელია. რესპოდენტთა უდიდესი ნაწილისათვის (65.9%) ქრისტიანობა უფრო მეტად წარმოადგენს თვითიდენტურობის საფუძველს, ვიდრე საქართველოს მოქალაქეობა (34.1%) რელიგია ძალიან მნიშვნელოვანია ახალგაზრდა რესპოდენტების 55.3%-ისთვის; საშუალო ასაკის 44.8%-ისთვის; უფროსი ასაკის – 41.3%-ისთვის. ახალგაზრდა თაობის 67.1% ასრულებს რელიგიურ რიტუალებს.



ჯგუფების წარმომადგენლების მიმართ ტოლერანტობა დემოკრატიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია.

ახალგაზრდების ღირებულებების შესახებ ინფორმაციას საქართველოში 2012 წელს ჩატარებული ერთადერთი კვლევა გვაძლევს.

კვლევის ავტორების თქმით, ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში, საქართველოში მიმდინარე მოვლენებმა მკვეთრად შეცვალეს როგორც პოლიტიკური, ასევე სოციო-ეკონომიკური გარემო. შესაბამისად ამ ყველაფერს მოსახლეობაში ღირებულებების ცვლა უნდა გამოეწვივა და თუ ეს ასეა, იგი უფრო გამოკვეთილი ახალგაზრდებში უნდა იყოს, თაობაში, რომელიც განსხვავებულ პირობებში გაიზარდა.

ახალგაზრდა თაობა უფრო მეტ შემწყნარებლობას ამჟღავნებს სხვა ჯგუფების წარმომადგენელთა მიმართ. ეს ეხება ეთნიკურ და სექსუალურ უმცირესობებს, ნარკომანებს, კრიმინალებს და ა.შ., მაგრამ არ ეხება სხვა რელიგიის წარმომადგენლებს. კვლევის შედეგების მიხედვით, რელიგია ახალგაზრდებისთვის უფრო მეტად სოციალური აქტივობის არეალია – უფრო მეტი ახალგაზრდა არის ეკლესიის მრევლი.

გამოკითხულთა უმეტესობა, საერო და რელიგიური სფეროების ერთიანობის მომხრეა. თითქმის ნახევარს (49.4 პროცენტი) მიაჩნია, რომ პოლიტიკოსებს, რომლებსაც ღმერთი არ სწამთ, არ უნდა იყვნენ არჩეული მაღალ სახელმწიფო თანამდებობებზე. ასევე გამოკითხულთა უმრავლესობა (53.1 პროცენტი) არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ რელიგიური ლიდერები არ უნდა ერეოდნენ ქვეყნის მართვის საკითხებში.

უფროს თაობებზე უფრო მეტად, ახალგაზრდები მიიჩნევენ, რომ ჰომოსექსუალ ქალებსა და კაცებს უნდა ჰქონდეთ უფლება ისე იცხოვრონ, როგორც ეს მათ სურთ, თუმცა იმავდროულად აღსანიშნავია, რომ პასუხად კითხვაზე, „რამდენად სასურველად მიგაჩნიათ ქვემოთ ჩამოთვლილი ჯგუფების თქვენს მეზობლად ყოფნა“, „ძალზე არასასურველად“ რესპონდენტთა ყველაზე დიდმა ნაწილმა ჰომოსექსუალები, შემდეგ კი ნარკომანები და ფსიქიურად არამდგრადი ადამიანები შეაფასა.

ახალგაზრდა თაობაში რელიგიის მნიშვნე-

ლობის ზრდას სოციოლოგი ნანა სუმბაძე საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ პერიოდს უკავშირებს.

„საბჭოთა კავშირის დაშლამ ქაოსი და ეკონომიკური მდგომარეობის მწვავე გაუარესება და ღირებულებათა მკვეთრი გადაფასების აუცილებლობა გამოიწვია. ასეთ ვითარებაში, ჩვეულებრივ ხდება ძლიერი და კეთილგანწყობილი ავტორიტეტის ძიება. ასეთი აღმომჩნდა ეკლესია, რომლის ლეგიტიმიზაციის ხარისხიც მნიშვნელოვნად გაიზარდა დამოუკიდებელ საქართველოში. გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ეკლესიის ზეგავლენა უფრო დიდი აღმომჩნდა იმ თაობაზე, რომელიც ამ დროს პიროვნული ზრდისა და ფორმირების პროცესში იყო. ვფიქრობთ, ამით უნდა აიხსნას ახალგაზრდების უფროს თაობაზე მეტად რელიგიურობა.“ – ამბობს ნანა სუმბაძე, თუმცა, აღნიშნავს, რომ ახალგაზრდები ეკლესიის პრიმატს ფორმალურად აღიარებენ, რაც თავისთავად ცუდი ფაქტი არ არის, რადგან ყველა რელიგია, თავისი შინაარსით, დადებითი ადამიანური ღირებულებების მატარებელია, თუმცა პრობლემა ავტორიტეტების მიმართ არაკრიტიკული დამოკიდებულებაა, რაც ნანა სუმბაძის შეფასებით, ჩვენი საზოგადოების ტრაგედიაა.

განათლების ექსპერტ გიორგი გახელაძის აზრით, რელიგიის დომინანტობას სკოლაში ჩვენმა საზოგადოებამ ვერაფერი დაუპირისპირა.

ზოგადი განათლების შესახებ კანონის მიხედვით, სკოლა სეკულარული და დემოკრატიული უნდა იყოს, მოზარდებს კი ადამიანის უფლებების დაცვისა და პიროვნების პატივისცემის უნარი უნდა გამოუმუშავდეთ. თუმცა, ამ წლების მანძილზე ვერც ერთი და ვერც მეორე მიზნის მიღწევა სათანადოდ ვერ მოხერხდა.

2004 წელს ზოგადი განათლების შესახებ კანონში შესული ცვლილება, სკოლების სეკულარულობის გარანტი უნდა გამხდარიყო, თუმცა სახალხო დამცველის 2012 წლის ანგარიშის მიხედვით, სკოლებში რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტები ისევ ხდება და „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების სრულფასოვანი დაცვა კვლავ პრობლემაა.

რელიგიური უმცირესობები წლებია აცხადებენ, რომ სკოლებში ადგილი აქვს კანონმდებლობით აკრძალულ ქმედებებს: პროზელუტიზმს, ინდოქტრინაციას, რელიგიური სიმბოლოების არააკადემიური მიზნით გამოყენას, ბავშვების რელიგიურ რიტუალებში ჩაბმას, განსხვავებული რელიგიური მრწამსის მქონე მოსწავლეების დამცირებას.

რელიგიური უმცირესობები წლებია აცხადებენ, რომ სკოლებში ადგილი აქვს კანონმდებლობით აკრძალულ ქმედებებს: პროზელიტიზმს, ინდოქტრინაციას, რელიგიური სიმბოლოების არაკადემიური მიზნით გამოფენას, ბავშვების რელიგიურ რიტუალებში ჩაბმას, განსხვავებული რელიგიური მრწამსის მქონე მოსწავლეების დამცირებას.

სამოქალაქო განათლების საგანი სკოლებში 2006 წლიდან ისწავლება, ამ დისციპლინის მიზანი მოზარდებში სწორედ მოქალაქეობრივი ღირებულებების ჩამოყალიბებაა.

გიორგი გახელაძის აზრით, სამოქალაქო განათლება ნამდვილად არის ის მთავარი ინსტრუმენტი, რომელიც ეხმარება ადამიანს ღირებულებათა სისტემის დახვეწაში, თუმცა 17 მაისის მოვლენებმა კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ ამ საგნის სწავლების შედეგად გამოცდილება სრულიად არასაკმარისია.

გახელაძის აზრით, 17 მაისის აქციით დადასტურდა, რომ ჩვენს საზოგადოებაში რელიგიურობა მოქალაქეობრივ იდენტობაზე მაღლა დგას. სამოქალაქო თვითშეგნების დეფიციტია და რელიგიას სამოქალაქო ღირებულებებსა და კონსტიტუციაზე უპირატესი როლი აქვს. გიორგი გახელაძე ახალგაზრდების მონაწილეობას აქციაში სწორედ სამოქალაქო განათლების დეფიციტით ხსნის.

„2006 წლამდე სამოქალაქო განათლების, ადამიანის უფლებების, შემეცნარებლობის სწავლება ნულოვანი არ ყოფილა, თუმცა საყოველთაო სახე 2006 წელს მიიღო. მასწავლებლებს, რომლებიც ასწავლიან სამოქალაქო განათლებას, ამ საგნის სწავლების ძალიან მწირი გამოცდილება აქვთ. ამის გარდა, სამოქალაქო განათლების მასწავლებლობა მიმზიდველი არ არის, რადგან, როგორც ვიცით, საქართველოში პედაგოგის მოტივაცია მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული ანაზღაურებასთან. ამ საგნის პედაგოგობა კი, მცირე საათების გამო, მიმზიდველი არ არის.“ – ამბობს გიორგი გახელაძე.

გიორგი გახელაძის თქმით, საქართველოს ხელისუფლებამ და განათლების სამინისტრომ უნდა გაააცნობიეროს, რომ სკოლაში სამოქალაქო განათლების საგნის სწავლებას განვითარება და დამატებითი ძალისხმევა სჭირდება, რათა მომავალში თავიდან ავიცილოთ ასეთი ახალგაზრდების ჩართულობა ძალადობაში.



**■ სამოქალაქო განათლების საგნის სწავლებას საქართველოს სკოლებში არცთუ დიდი ხნის ისტორია აქვს. შესაბამისად მისი ადგილი და მნიშვნელობა სხვა ე.წ. ტრადიციულ სასკოლო საგნებს შორის კარგად არ აქვთ გაცნობიერებული, როგორც თავად მოსწავლეებს, ისე მათ მასწავლებლებსა და მშობლებს.**  
**2012 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით, მოსწავლეთა უდიდეს უმრავლესობას სამოქალაქო განათლების საგნის სწავლება საქართველოს სკოლებში საჭიროდ მიაჩნია, თუმცა იმავდროულად თვისობრივი კვლევის ფარგლებში გამოკითხულ რესპოდენტთა დიდ ნაწილს სამოქალაქო განათლების საგნის სწავლების ეფექტიანობის შეფასება უჭირს. ამასთან რესპოდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილისთვის, ამ ეტაპზე, სამოქალაქო განათლების საგნის სწავლების დონე დამაკმაყოფილებელი არ არის. მხოლოდ გამოკითხულ რესპოდენტთა მცირე ნაწილი მიიჩნევს, რომ სამოქალაქო განათლება კარგად ისწავლება.**  
**რესპოდენტთა თითოეული კატეგორია პედაგოგების ჩათვლით სამოქალაქო განათლების პედაგოგთა გადამზადებას მნიშვნელოვნად მიიჩნევს.**

რება და დამატებითი ძალისხმევა სჭირდება, რათა მომავალში თავიდან ავიცილოთ ასეთი ახალგაზრდების ჩართულობა ძალადობაში. „სკოლა სეკულარული და დემოკრატიული ღირებულებების კერა უნდა გახდეს“, – ამბობს გიორგი გახელაძე.

თუმცა სოციოლოგ ნანა სუმბაძეს მიაჩნია, რომ მოსწავლეთა განწყობები სკოლაში ერთი საგნის სწავლებით ან წიგნის წაკითხვით ვერ შეიცვლება. მთავარი გარემოს შეცვლაა, რაც რთული და მრავალწახნაგოვანი პროცესია.

ფსიქოლოგ ჯანა ჯავახიშვილის აზრით, ახალგაზრდა თაობა, რომელთა რწმენა ეკლესიიდან გამოსულ მესიჯებზეა დაფუძნებული, რთულად შეიცვლება, თუ თავად ეკლესიაში არ დაინყო ნარატივების ტრანსფორმაცია. ჯანა ჯავახიშვილის თქმით, 90-იან წლებში ტელევიზორის ყურება ემპაქსიულად ითვლება, თუმცა ახლა ტელევიზორი პრაგმატული რესურსი გახდა და საპატრიარქომაც გახსნა თავისი მაუწყებლობა. თუმცა სხვა ტრადიციული ნარატივები, მაგალითად, სოდომ-გომორის და ჰომეროსი ულალოსი ერთმანეთთან დაკავშირება არ შეცვლილა და ამ ნარატივებზე გაიზარდა ახალგაზრდა თაობა.

ჯანა ჯავახიშვილის აზრით, ავტორიტეტულმა ინსტიტუტებმა 17 მაისს მომხდარი ძალადობა უნდა გაააცნობიერონ, მომხდარი კი ადეკვატურად შეაფასონ.

“როცა გავლენიანი ინსტიტუტი ძალადობას ძალადობას არ არქმევს და არბილებს – ამას, ფსიქოლოგიაში აზროვნების შეცდომა ჰქვია. ეს არის მინიმალიზაცია. ხელისუფლებამ და ეკლესიამ ძალადობის მინიმალიზაცია მოახდინა. თუკი ეკლესიამ მომხდარი არ გაააცნობიერა და პასუხისმგებლობა არ აიღო, ის ძალადობრივი, როლური მოდელი გახდება თავისი მრევლისთვის, რომელსაც მოძღვრავს, მისცემს მაისურებს წარწერით – „სამშობლო გვიხმობს!“ რისკენ უხმობს სამშობლო? განსხვავებული ადამიანების მოსაკლავად? 17 მაისს მომხდარი მოვლენების შეფასებები ძალადობის ნორმალიზაცია იყო, რომელიც გამარჯვების პარაკლისით დასრულდა სამებაში. ეს პარაკლი იყო წახალისება იმ ძალადობის, რაც 17 მაისს მოხდა“, – ამბობს ჯანა ჯავახიშვილი. **■**

# თბილისის მეოთხე საერთაშორისო ფოტოფესტივალი



გიორგი გოგუა

28 მაისს აბანოთუბანში თბილისის მეოთხე საერთაშორისო ფოტოფესტივალი იხსნება. ბოლო 4 წლის მანძილზე, რაც ეს ფესტივალი ტარდება, ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც პირველი გამოფენა ღია ცის ქვეშ ეწყობა. ფოტოგამოფენა სახელწოდებით „ტრანსგრესია: მამაკაცის მომავალი...“ იქნება გამხსნელი მთელი ფოტოფესტივალის მთავარი თემისა: „ადამიანის უფლებები“.

„თემა შემთხვევით არ ირჩევა“, – ამბობს პროექტის ორგანიზატორი, ნესტან ნიჭარაძე. ფესტივალი ეხმარება იმ თემებს, რაც აქტუალურია არა მხოლოდ ლოკალური, არამედ მსოფლიო მასშტაბით. „თუმცა ადამიანის უფლებები ძალიან ფართო, ყოვლისმომცველი თემაა, ამიტომ შევეცადეთ, ეს თემები გადაგვენაწილებინა გამოფენებშიც და ღამის ჩვენებებშიც“.

ფესტივალის პირველი გამოფენა სამსხვადასხვა ავტორს მოიცავს: პოლონელი იუსტინა მელნიკევიში, რუმინული წარმოშობის ბრიტანელი დანა პოპა და ირანელი, ნევეშა თავაქოლიანი.

როგორც ორგანიზატორი ამბობს, „ეს სამი სრულიად განსხვავებული სერიის გაერთიანებაა, რომელთაგან ერთი ირანშია გადაღებული, მეორე უკრაინაში, ხოლო მესამე დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპაში. სამივე სერია ეხება ქალთა უფლებების დარღვევასა და მათ ბრძოლას ამ უფლებებისათვის“ – ამბობს ნესტან ნიჭარაძე.

„ჩვენ ადამიანის უფლებათა დამცველი

ორგანიზაცია არ ვართ“, – ამბობს ნიჭარაძე. „ჩვენთვის მთავარია, ადამიანებს ახალი კუთხით ვაჩვენოთ ის თემები, უმეტესად, ძალიან მძიმე და იშვიათი სახისა“.

წლევანდელი ფესტივალი მოიცავს თემებს, როგორცაა ქალების უფლებები, ფსიქიატრიული საავადმყოფოები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების პრობლემა, ლტოლვილები, იძულებით გადაადგილებული პირები და ა.შ. „გვინდა, რომ ყოველდღიურობით გადაღლილ საზოგადოებაში, ამ თემების მიმართ, ერთგვარად იმუნიტეტად ქცეულ ინდიფერენტულობას „სილა გავანნათ“, – ამბობს ნესტან ნიჭარაძე. „ეს ფესტივალი კეთდება იმისთვის, რომ ფოტოგრაფია, როგორც მედიუმი, გამოვიყენოთ ერთგვარ იარაღად იმისთვის, რომ ჩვენი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანი და დიდი ინფორმაცია მოვიტანოთ მაყურებელამდე.“

გასული წლების მსგავსად, თბილისის წლევანდელ ფოტოფესტივალზეც გამოფენილი იქნება მსოფლიოში ცნობილი ფოტოგრაფების ნამუშევრები, ზოგიერთი ავტორი კი ფესტივალს თავადაც ესტუმრება.

ასევე გამოიფინება რეგიონის საუკეთესო ახალგაზრდა ფოტოგრაფების სერიებიც. „ჩვენ ხელს ვუწყობთ ნიჭიერ ფოტოგრაფებს, რომ მათ ფესტივალში მონაწილეობა მიიღონ, შესაძლებლობა ჰქონდეთ, აჩვენონ, რაზე მუშაობენ, რა აინტერესებთ“, – ამბობს ნესტან ნიჭარაძე. მისი თქმით, ფოტო-





მარინა ტურჩენკოვა, *Hidden War in the Land of Mountains*, დალესტანი, რუსეთი 2012

გრაფები მონვეულები იქნებიან, არამარტო სამხრეთ კავკასიიდან, არამედ, თურქეთიდან, ირანიდან, ავღანეთიდან, ერაყიდან, რუსეთიდან, უკრაინიდან.

დაიწყება წლეგანდელი ფოტოფესტივალის გამოფენებით და გაგრძელდება ფოტოგრაფიის ღამით. თუმცა, წინა წლებისგან განსხვავებით, აქ სიახლე შევიდა: წელს ფოტოგრაფიის ერთის ნაცვლად ორი ღამე იქნება.

პირველი ღამე პირველ ივნისს, საღამოს 10-ის ნახევარზე დაიწყება და გვიან ღამემდე გაგრძელდება. ქალაქში განთავსებულ ათ მონიტორზე სხვადასხვა ფოტოგრაფის სერიების სლაიდშოუების ჩვენება მოეწყობა.

მეორე დღეს, 2 ივნისს კი ასევე საღამოს 10-ის ნახევრიდან, გუდიაშვილის ბაღში შედარებით მცირემასშტაბიანი ჩვენება მოეწყობა, რომელს პარალელურადაც ბაღში ცნობილი ესპანელი მუსიკოსი და კომპოზი-



ოუსტინა მელნიკიევიჩი, *Femen-our Breasts do not Bite*. უკრაინა



ნიუმა ტავაკოლიანი, *Listen*. 2010

ტორი ხოსე ბაუტისტა დაუკრავს. ხოსე ბაუტისტა ძალიან ინტენსიურად მუშაობს ისეთ ფოტოგრაფებთან, რომლებიც არიან სტენ-ლი გრინი, იური კოზრეი, გიორგი პილხასოვი, და მათი მულტიმედიური ფილმებისა და სლაიდშოუებისთვის მუსიკას ქმნის. „ეს პროგრამა განსაკუთრებული იქნება, რადგან მთელი პროგრამა აწყობილი იქნება ძალიან ცნობილი ფოტოსააგენტოს NOOR ის ნევრების ფოტოებზე და სლაიდშოუზე“, – ამბობს ნიჟარაძე.

ლამის პროგრამაში ჩართული იქნება National Geographic-ის ჩვენებაც, რომელიც წელს ფესტივალის პარტნიორია. მათ მიერ

არჩეული ფოტოებიც მთლიანად სწორედ ადამიანის უფლებებზე იქნება ფოკუსირებული.

ფესტივალის ფარგლებში თბილისს, National Geographic-ის მთავარი ფოტორედაქტორი, ელის გაბრინერი ესტუმრება. 2 ივნისს, დღის 3 საათზე ის ეროვნული მუზეუმის აუდიტორიაში საჯარო ლექციასაც გამართავს. ის, ასევე გააკეთებს პორტფოლიო რევიუს ახალგაზრდა ფოტოგრაფებისთვის.

გარდა გაბრინერის ლექციისა, ორგანიზატორები კიდევ რამდენიმე ღონისძიებას გეგმავენ:

31 მაისს, საღამოს 6 საათზე მწერალთა



ანტუან დაგატა, მარსელი,  
საფრანგეთი, 1997


სახლში სააგენტო მაგნუმის წევრის, ფოტოგრაფ თომას დვორჟაკის პროექტის, Instagram Collection-ის პრეზენტაციაგაიმართება. გაიმართება იმავე დარბაზში, სადაც ქართველმა მწერლებმა რობერტ კაპა მიიღეს.

კიდევ ერთი ღონისძიება, რომელიც თბილისის ფოტო ფესტივალის ფარგლებში იგეგმება, არის The Sochi Project (სოჭის პროექტი), რომელზეც ჰოლანდიელი ფოტოგრაფი, რობ ჰონსტრო და ასევე ჰოლანდიელი ჟურნალისტი, არნოლდ ვან ბრუგენი მუშაობენ. ეს პროექტი მათ მას შემდეგ დაიწყო, რაც ცნობილი გახდა, რომ სოჭში 2014 წლის ზამთრის ოლიმპიადა გაიმართებოდა. მსურველებს შესაძლებლობა ექნებათ, დაესწრონ რობ ჰონსტროსთან შეხვედრას, რომელიც წარადგენს პროექტს, რომელზეც უკვე 4 წელიწადია, მუშაობენ. „ეს პროექტი ავრცობს ერთ-ერთ ჩვენს გამოფენას, „ომი და თამაშები: ჩრდილოეთ კავკასია დღეს“, – ამბობს ნესტან ნიჟარაძე.

ეს გამოფენა 2 ივნისს ლიტერატურის მუზეუმში გაიხსნება და 1 თვის განმავლობაში გაგრძელდება.

ფოტოფესტივალის გურამ ნიბახაშვილის ფოტოპროექტით დაიხურება. „ეს ჩვენი უმნიშვნელოვანესი გამოფენაა, რომლითაც ფესტივალის 4 ივნისს, 8 საათზე ქარვასლაში დაიწყება“, – ამბობს ნესტან ნიჟარაძე. გამოფენაში სახელწოდებით „ზღვარზე“ 80 ფოტოა გაერთიანებული, რომელიც მოიცავს საქართველოს თანამედროვე ისტორიაში ბოლო 15-წლიან პერიოდს. „აქ არის ცვლილებები, რომლის გზაზეც ვერ კიდევ ვართ. ეს სერია ძალიან გვზიზიანებს მაღალი ფოტოგრაფიული სტანდარტით, მაგრამ უმნიშვნელოვანესია მისი დოკუმენტური ღირებულება. ის ასახავს იმას, თუ რა იყო რეალურად, რა გამოწვევების წინაშე დადგა ქვეყანა ამ პერიოდში“.

თბილისის 2013 წლის ფოტოფესტივალზე ასევე ნაჩვენებია იქნება ბოლო წლის განმავლობაში ჟურნალ „ლიბერალში“ გამოქვეყნებული საუკეთესო ფოტოების სლაიდშოუ.

ფესტივალის პარტნიორები არიან კულტურის სამინისტრო, თბილისის მერია, სოროსის ფონდი, ღია საზოგადოება საქართველო, საფრანგეთის საელჩო და მთელი რიგი სხვა პარტნიორებისა. 





„სამწუხაროდ, პოლიციამ და ახალმა ხელისუფლებამ ეს იდეალურად ვერ მოახერხა. 17 მაისს განვითარებული მოვლენები ჩვენი საზოგადოების სირცხვილი იყო, მაგრამ შექმნილ ვითარებაში პოლიციის ქმედებას ადეკვატურს დავარქმევდი. სამართალდამცავები ცდილობდნენ მაქსიმუმს.“

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი 17 მაისის მოვლენების შესახებ**

---



„ქართული რეფორმები არის ბრენდი ყველგან, მათ შორის ისეთ ქვეყნებშიც, რომელთანაც ასე პირდაპირი ურთიერთობები არ გვქონია.“

**საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი**

---



„თუ ჩვენები – ეკლესიის წევრები იქნებიან „დამნაშავეები“, ვფიქრობ, მათ საერო სამართლის წინაშე წარდგომა არ გაუჭირდებათ. მადლობა ღმერთს - კარგად გადაგვარჩინა. ფეხბურთის გუნდები რომ დაამთავრებენ-ხოლმე თამაშს, იქ ხდება-ხოლმე ტრაგედიები. ერთი ვიტრინაც არ ჩამტვრეულა, გატყდა ავტობუსის შუშა, ხალხსაც რაღაც მოუვიდა და ალბათ ჩვენც ვისწავლით, მაგრამ სახელმწიფოც შესაბამის ღონეზე აღმოჩნდა“.

**გარდაბნისა და მარტყოფის მიტროპოლიტი მეუფე იაკობი**



[www.ucnobifm.ge](http://www.ucnobifm.ge)



**ნიუზიანი ტელევიზია**

[www.tv9.ge](http://www.tv9.ge)